



იოსებ ბაქრაძე

I

იოსებ ზოსიმეს-ძე ბაქრაძე ეკუთვნოდა ქართველ ხალხოსან მწერალთა ჯგუფს. მან 19 წლისამ დაიწყო ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობა და მთელი 35 წლის განმავლობაში ქართული ლიტერატურისათვის და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის თავდადებულ მოღვაწეობას ეწეოდა.

ი. ბაქრაძე დაიბადა თავის დედის სოფელ არბოში 1850 წ. თებერვლის 1.¹ ჯერ კიდევ ხუთი თვის არ იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა, რის შემდეგ დედა, ეკატერინე გვიმრაძის ქალი, ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა: მას არ გააჩნდა არავითარი სახსარი არსებობისათვის და ანიტომ იძულებული იყო ხან ერთ ნათესავს შეხიზნებოდა, და ხან შორეს. ყველაზე უფრო პატარა იოსებს დეიდა, ნიკო ლომოურის დედა, უვლიდა. არაეის აღერსი მას ისე არ ახსოვდა, როგორც დეიდასი. თავის ბავშვობის სისაწყლეს იოსებს აღწერილი აქვს ერთს თავის პატარა ლექსში: „სიმღერაში“, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება:

„არც სახლი მაქვს, არც კარი,
ვარ შრომის ანაბარადა.
ზეცა და მთა და ბარი
მიმანინა სახლ-კარად“. და სხვ. (გვ. 28).

9 წლის იოსები გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. სუსხიან ზამთრის დღეებში, მარტო ხალათის ამარა და ნახევრად ფეხშიშველი დადიოდა გორიდან თავის სოფელ არბოში. არც სასწავლო ნივთები გააჩნდა, მაგრამ მიუხედავად ასეთი გაკირვებისა, სასულიერო სასწავლებლის კურსი მან მაინც შესძლო დაესრულებინა 1867 წ. იმავე წელს ის შეიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ის როგორც ობოლი, მღვდლის შვილი და კარგი მოწაფე, სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს.

¹ იოსების წინაპარი რაჭიდან არის ქართლში გადმოსული.

სემინარიის კურსი მან დაამთავრა 1874 წ. სტუდენტის ხარისხით. ამავე წელს შევიდა სამსახურში გრიგოლ მელიქიშვილის სტამბის კანტორაში, ხოლო 1875 წლიდან მსახურობდა თბილისის საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწედ, 1877 წლიდან კი, დანიშნული იქნა სასამართლოს ბოქაულად, სადაც 26 წელზე მეტი დაყო.

II

იოსები ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ანტონ ფურცელაძესთან. უკანასკნელმა კი დიდი გავლენა იქონია იოსებზე. ი. ბაქრაძე ანტონის ოჯახში და „მნათობის“ რედაქციაში ეცნობოდა და უახლოვდებოდა ქართველ ინტელიგენციის მაშინდელ მოწინავე პირებს, ხოლო იოსების საშუალებით ამავე პირებთან კავშირს იჭერდა სემინარიის მოწინავე ახალგაზრდობა.

1870—71 წ. ნ. ავალიშვილმა და ანტ. ფურცელაძემ შეადგინეს სცენის მოყვარეთა წრე, წარმოდგენების გასამართავად. ამ წრესთან ყველაზე უკრო დაახლოებული იყო იოსები, მისი მეშვეობით წრის მუშაობაში ჩაება მაშინდელი მოწინავე ახალგაზრდობა — ს. მგალობლიშვილი, შ. შიუქაშვილი და სხვ. ამას გარდა იოსები სხვა სემინარიელებთან ერთად შეელოდა ყურს. „მნათობის“ რედაქციას ჟურნალის აწყობა-ბეჭდვაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხალხოსანთა წრეში, სადაც კონსპირატიულ დავალებებსაც ასრულებდა. (იხ. ს. მგალობლიშვილის „მოგონებანი“ გვ. 77).

III

იოსებ ბაქრაძე სამწერლო ასპარეზზე 70-იან წლების დასაწყისში გამოვიდა, როდესაც ის სემინარიის მეშვიდე კლასში იმყოფებოდა. ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი მას ბავშვობიდანვე ჩაუნერგა დედამ და დეიდამ, რომლებიდანაც ის ხშირად სხვადასხვა ხალხურ ლექსებს და ზღაპრებს ისმენდა, რასაც ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული იოსები ადვილად ითვისებდა.

ლიტერატურისადმი ინტერესი მას უფრო გაუღვივა სემინარიისი ყოფნის დროს მისმა მასწავლებელმა იაკობ გოგებაშვილმა და სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლეებმა, შემდგომი ცნობილ პროფესორებმა ვ. პეტრიაშვილმა და ალ. ცაგარელმა, დ. ჯანაშვილმა და სხვ.

იოსები ძალიან დაახლოებული იყო ი. გოგებაშვილთან. უკანასკნელს გარსემოკრებილი ჰყავდა სემინარიის მოწინავე ახალგაზრდობა, რომლებსაც სემინარიის ადმინისტრაციის ფარულად სასწავლებელში და თავის ბინაშიც უკითხავდა ქართველ მწერლების

თხზულებებს, სცემდნენ ხელნაწერ ჟურნალს „შრომა“-ს, რომელშიც იოსებიც თანამშრომლობდა.

იოსებ ბაქრაძის შემოქმედებაში სამშობლოსადმი და ღარიბთადმი სიყვარული მთავარია, რისთვისაც მან ერთის მხრივ დევნა განიცადა მეფის ცენზურისაგან და მეორეს მხრივ გულისწყრომა დაიშასხურა ბობოლა თავად-ახნაურებისაგან. ასე მაგალითად, მეფის ცენზურას მთლიანად ამოუშლია ლექსში „მომილოცნია ახალი წელი“ (გვ. 45) მე-3, 5 და 6 თავები და მხოლოდ 1, 2 და 7 თავის დაბეჭდვის ნება მიუცია ჟურნ. „ივერიაში“ 1882 წ. № 1-ში.

1883 წ. „ივერიის“ № 1-ში დაბეჭდილ ლექსიდან „1885 წ.“ (გვ. 59) მთლიანად ამოუვდია მესამე სტროფი, რომელიც წინამდებარე გამოცემაში ავტორადის მიხედვითაა აღდგენილი.

1873 წ. დაბეჭდილ ლექსში, „მე ქართული ვარ“, (გვ. 15) გამოტოვებულია ქვემოდან მესამე სტრიქონი; იმავე ლექსს უნდა აკლდეს მესამე ტაქტის ბოლო ნაწილიც.

მაგრამ თუ ერთის მხრივ მეფის ცენზურა ასე დამახინჯებით ბეჭდავდა იოსების ლექსებს, მეორეს მხრივ ზოგ მათგანს მთლიანადაც კრძალავდა. ამეამად ჩვენ შემთხვევით აღმოვჩინა იოსებ ბაქრაძის ერთი ლექსი. ¹** [წარვლენ წელნი, და სამშობლო მხარეუ...] (გვ. 58), რომელიც გ. ციმაკურიძის ხელმოწერით უნდა დაბეჭდილიყო 1881 წ. (იხ. საქ. ცენტრარქივის საცენზურო კომიტეტის საქმე № 147).

ასე ვაი-ვაგლახით ახწევდა თავს იოსების ლექსები მეფის ცენზურისაგან, მაგრამ ის რაც მხის სინათლეს ნახულობდა, ისიც ავტორისადმი გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევდა საზოგადოების იმ ფენაში, რომელიც სხვისი შრომით დაგროვილ დოვლათით განცხრობილ ცხოვრებას ეწეოდა.

თავის შემოქმედებაში ი. ბაქრაძეს მკაფიოდ აქვს დასურათებული ბატონ-ყიობის „გაუქმებას“ შექმნილი ხანის გლახთა აუტანელი ფკონომიური გაკირვება, რის შესახებაც ეროვნოთ თავის ლექსში პოეტი შრომის შეილების მიმართ ამბობს:

„შრომისა შეილო! წლის მოსავალი
ნუ გეგოთება, რომ ისე მოსცდეს,
რომ კირმ-ხულის ახალ მოსვლამდინ
იგი ბენთვისა არა კმაოდდეს.
მაგრამ შენს შრომას, შენს კირნახულსა
ნრავალნი უქმნი შემოსცქერაან,
შენ შრომისაგან წელში იხრები
და იგინი კი მხოლოდ მღერაან“.

¹ ეს ლექსი აღმოჩნდა ავტორის არქივში. ამოშლილი სტრიქონი, ნაბეჭდში ფანქრით ჩაუწერია, და იმ სახით ვებეჭდეთ მას ჩვენ. სხვა ნაწილი კი აღარ აღუდგენია.

და ეს სოციალური უსამართლობა რომ აღიკვეთოს და შემდეგში „ამოდენა მუქთად მყლაპავენბმა მშრომელთა ოფლით რომ არ ისარგებლონ“—პოეტი ჩაგრულებს მჩაგვრელთა საწინააღმდეგოდ მოუწოდებს:

„ძმანო! გამზნედიო!.. ჩვენ სიყმაწვილით
სინაზეს არ ვართ მიჩვეულები...
თუ აწ ვიჩაგვრით მტარვალთა ხელით
შემდეგ ვიქნებით თავისუფლები...
მხოლოდ ერთმანეთს ხელიხეჯს მივსცეთ,
ისე აღუდგეთ ჩვენსა მცარცველებს,
უსამართლობას თავხარი დაესცეთ
მაშინ მზე ჩვენცა გამოგვინათებს“.

ცხადია, ამის და მრავალ ასეთ სტრიქონების დაწერს, ბოძოლათავად-აზნაურობა კარგის თვალთ არ დაუწყებდა ყურებას; მაგრამ 1878 წელს, როდესაც უფრო „ივერიის“ მე-14 №-ში დაიბეჭდა იოსების ლექსი „სიმღერა“ (გვ. 28) რომელიც შემდეგი სიტყვებით ბოლოვდება: „ჩ ა მ ო დ ე ქ ი თ მ დ ი დ რ ე ბ ო , ღ ა რ ი ბ ი მ ო ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ა“-ო, ამან კი მოთმინებიდან გამოიყვანა მდიდართა გროვა და ერთერთმა ნაცნობმა პირდაპირ უთხრა—კი გაგებარდებათ რომ ჩვენ მდიდრებმა გზა მოკცეთ, მაგრამ ამას ვერ მოესწრობით... ვგლა გვაკლია, რომ ჩვენი მდიდრები გადაეღგეთ და ბურთი და მოედანი ღარიბებს დაგრიეთო.“¹

მაგრამ იოსები ასეთებს არ უშინდებოდა და თუ მდიდარ-წარჩინებულთა ხროვა მას სდევნიდა, სამაგიეროდ მშრომელთა ფართო მასა მის ლექსებს ზეპირად სწავლობდა და ლეროდა. იგივე ლექსი „სიმღერა“ გამოქვეყნების წელსვე პოლიტიკურ ტუსაღს ვ. დეკანოზი-შვილს ჰაპირითის ქალადზე ფანქრით წვრილად გადაწერილი, გაუფრცველებია ტუსაღებს შორის, რომლებსაც ის სასიძღვროდ გადაუყვავებიათ (იხ. ს. მაგლობლიშვილის „მოგონებანი“ გვ. 108).

¹ ერთხელ იოსებ ბაქრაძეს ხელმოსაწვრად მიუტანეს კრებაზედ მოწვეულ პირთა სია. მან გადაათვალიერა ის, რომელიც ამ სახით იყო ხელმოწერილები:

Кп. Вацпაძე

Кп. Чолокаев

Кп. Баратов

Кп. Эристов და სხვა. იოსებმა გაიღიმა და თავის გვარს იხ. ნაკვლად წინ მიუწერა Кр. ე. ი. Кр. Вацпაძე.

როდესაც „კნიაზებმა“ ეს ნახეს, უკმაყოფილება გამოსთქვის და ჩოჩქოლი დაიწყეს. იოსებმა ღიმილით სთქვა—საკვირველია ღმერთმანი, ანდენი H, როგორ დააფრთხო ერთმა ჩემმა p-მთ.

ასეთივე სასიძლეროდ გახდა მშრომელთათვის იოსების სხვა ლექსებიც: „მე ქართველი ვარ“, „წაღმა-უყულმა აბრუნებს წუთი-სოფელი ჩემს ბედსა“ და სხვ.

საერთოდ სოფლისა და ღარიბი გლეხებისადმი სიყვარული იოსებს დიდი ჰქონდა. მისი ჩასვლა სოფლად დიდ სიბარულს იწვევდა გლეხობაში. იგი მათ ესაუბრებოდა გაკირვეულ მდგომარეობაზე, აძლევდა რჩევა-დარიგებებს და ნივთიერ დახმარებასაც კი.

გარდა ორგინალური თხზულებებისა ი. ბაქრაძის კალამს ეკუთვნის უცხო ენებიდან თარგმნილი მრავალი თხზულება, როგორცაა ჭაინეს, ბაირონის, ჰიუგოს, ალფიერის, თუმანიანის, ვალტერ-სკოტის, შელლის, შილერის და სხვ.

წერილ ლექსებთან ერთად მთლიანად თარგმნა ბაირონის — „ჩაილდ-ჰაროლდი“, რომლის ბეჭვდა 1879 წლიდან დაიწყო „ივერიაში“, შილერის — „მარიამ სტიუარტი“, „პაცის ჯალაბობა“, ალფიერის ტრალედიიდან — „მამა და შვილი“ (დაიბეჭდა „ნათობში“ 1872 წ.), ვალტერ-სკოტის რომანი „აივენგო“ (მეორედ გამოიცა გასულ წელს, სახელგამის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის სექტორის მიერ), „უროიელ აკოსტა“ — გუცკოვისა და სხვ.

ი. ბაქრაძემ უცხო ენები არ იცოდა და ყველა ამ მწერლების ნაწერი გადმოთარგმნილი აქვს რუსულიდან. („ჩაილდ-ჰაროლდი“ თარგმნილია პ. კობლოვის რუსულად თარგმნილიდან, რომელიც უფრო „Русская мнчн.“-ში დაიბეჭდა), ხოლო სომხური ენიდან თარგმანში მას შეულოდა გაბრიელ სუნდუკიანცი, რომლის თხზულებები — „პეპო“, „სათაბალა“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“ და სხვ. ქართველმა საზოგადოებამ პირველად ი. ბაქრაძის თარგმნით გაიცნო.

იოსები მეტად დაკვირვებული მთარგმნელი იყო, ერთდამივე ნაწარმოებს ის რამოდენიმე რედაქციით თარგმნიდა და მხოლოდ შემდეგ მიცემდა თხზულებას საბოლოო სახეს. თარგმნიდა ის მშვენიერი ქართული ენით და მოხდენილი პოეტური ხერხებით, რისთვისაც ზოგი მათგანი ხალხში სასიძლეროდაც კი იქცა. მაგ. ჭინეს — „ტურფავ. ტურფავ! რას უყურებ“, დრალშევიჩის — „ბრძოლა“, დოდოხიანის — „მერცხალი“ და სხვ.

როდესაც „ქართველთა ამხანაგობამ“ გადასწყვიტა ვ. პოტტოს „საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო“-ს ქართულ ენაზე გამოცემა,¹ ი. გოგებაშვილს შეეკითხეს თუ ვისთვის მიენდოთ მისი გადმოთარგმნა; უკანასკნელმა კი ი. ბაქრაძეზე მიუთითა, როგორც კარგ დახელოვნებულ მთარგმნელზე.

¹ დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1894 წ. „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემა.

ი. ბაქრაძეს სიკვდილამდის ხელიდან არ გაუშვია კალამი და იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში („მნათობი“, „ივერია“, „დროება“ და სხვ.) ათავსებდა როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ თხზულებებს. ის ძალიან დაახლოვებული იყო ი. ჯავახიშვილს და მას კვირეული ორგანოს „ივერიის“ უახლოეს თანამშრომლად ითვლებოდა. ხშირად ეძახოდა ილია იოსებსაც, როდესაც თავის უახლოეს მეგობრებს მოიწვევდა მისი რომელიმე თხზულების გასარჩევად.

ზოგჯერ იოსები შველოდა რედაქციის მ.საღების წაკითხვა-გასწორებაში, ქრონიკების შედგენაში და სხვა სახის სამუშაოებში.

გარდაიკვალა იოსები 1904 წ. მაისის 14 (ძვ. სტ.) დილის 10 საათზე. რედაქციებმა მწუხარებით აუწყეს საზოგადოებას მათი თანამშრომლის იოსებ ზოსიმეს-ძე ბაქრაძის დაკარგვა. („ივერია“ № 115, „ცნობის ფურცელი“ № 2496, „მოამბე“ და სხ.).

IV

1

ბ. ბაქრაძის ნაწერები გაფანტულია პერიოდულ გამოცემებში, ესენია ლექსები, პოემა, კორესპონდენციები და პუბლიცისტური წერილები. ეს უკანასკნელნი უმეტეს შემთხვევაში „რამე-რუმეს“ სახელწოდებითაა გამოქვეყნებული.

გამომცემლობა „ფედერაციის“ დაკლებით ჩვენ მოგვიხდა ი. ბაქრაძის თხზულებების გამოცემაზე მუშაობა. მიზნათ დავისახეთ პირველ რიგში თავი მოგვეყარა მხატვრულ ორიგინალურ ნაწერებისთვის და მასთან ერთად, როგორც ნიმუში, მოგვეცა მცირე ნაწილი ნათარგმნილი თხზულებებიდანაც.

მწერლის ნაწერების დაგროვებას წინ უნდა უსწორებდეს მისი ფსევდონიმების გამოკვლევა. ი. ბაქრაძეს კი, როგორც ირკვევა, მრავალი ფსევდონიმი ჰქონია. ყველა მათის გამოკვლევა ჯერჯერობით ძნელი ხდება. ამჯამად კი ჩვენ მხოლოდ შემდეგი ფსევდონიმების დადგენა შევძელით: ი. ელაქაძე, ი. ოქრიაშვილი, გ. თენაძე, გ. ციმაკურიძე და თ. გ. ც-ს. ამ ფსევდონიმებით ნაწერი ლექსების ავტორაფების ნაწილი აღმოჩნდა იოსების არქივში, რომელიც ჩვენ სასარგებლოდ გადმოგვცა მისმა შვილმა კატო ბურჯანაძემ,¹ ამას გარდა იოსების ოჯახის წევრები და მახლობლებიც ადასტურებენ აღნიშნული ფსევდონიმებს იოსების კუთვნილებად. ამიტომ ჩვენ ამ ფსევდონიმით ცნობილი ყველა თხზულება, რომლებსაც კი მივაგენით პერიოდულ გამოცემებში ანდა იოსების არქივში, შევიტანეთ ამ გამოცემაში. ასეთები კი არის

¹ მანვე მოგვანოდა ზოგიერთი ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა, რისთვისაც მადლობას ვწირავ.

შემდეგი ლექსები: 1. ი. ე ლ ა ქ ა ძ ე -ს ფსევდონიმით: „მე ქართველი ვარ!“... (გვ. 15), 2. ი. ო ქ რ ი ა შ ვ ი ლ ი—„მუშის სიმღერა“ (გვ. 17), „გლეხის სიმღერა“ (გვ. 19), „ჩვენებური ექიმი“ (გვ. 22), „დარდი“ (გვ. 24) „სიმღერა“ (გვ. 28). 3. გ. თ ე ნ ა ძ ე—„ს. მესხის გარდაცვა-
ლებაზედ“ (გვ. 51), 4. გ. ც ი მ ა კ უ რ ი ძ ე—„ბაღში“ (გვ. 52),
** [სინიდისი, სიმართლის ტაძარია..] (გვ. 53), ** [ლამეა. სატრუოვ
მარტო ვარ...] (გვ. 54), „ალბომში“ (გვ. 55), ** [ალარც რწმენა და
ალარც სასოება...] (გვ. 56), ** [წარვლენ წელნი და სამშობლო
მხარე...] (გვ. 58), „1885 წ.“ (გვ. 59). 5. თ. გ. ც —** [ერთ სალა-
მოს, ჩემთვის მარად დილამან...] (გვ. 64).

უდავოა, რომ გარდა ამ ფსევდონიმებისა, ი. ბაქრაძეს სხვა ფსევდონიმებიც ექნებოდა. შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს ფსევ-
დონიმი ი. რ ო მ ა ნ ი ძ ე, მაგრამ რაკი საბოლოოდ დარწმუნებული
არა ვართ, ამიტომ ამ ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსი „ანგა-
რიშინი სიყვარული“ (დაბეჭდილია 1878 წ. გაზ. „დროება“-ს
115 №-ში) აქ ალარ შევიტანეთ, არ შევიტანეთ აგრეთვე „რამე-
რუმე“-ებში მოთავსებული ლექსებიც (მაგ. „გიგო ავალიშვილს“-
გაზ. „დროება“ 1885 წ. № 161). და დაუმთავრებელი ლექსებიც
(„გაცრუებული მელია“, „მინდვრის თავეს, დარბევულს ჩემის გუთ-
ნით“ და სხვ.), რომლებიც ი. ბაქრაძის ანტიკვში საკმაოდ აღ-
მოჩნდა.

მასალები დალაგებული გვაქვს ქრონოლოგიის მიხედვით, საა
მისოდ გამოყენებულია მათი დაწერის, ან გამოქვეყნების თარიღები
ხოლო რომლებიც ამის საშუალებას არ იძლეოდა, ბოლოში გვაქვს
მოთავსებული.

ხოლ. ყუბანეიშვილი

დ ე ქ ს ე ბ ი

მე ქართველი ვარ!..

მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო
ორ ზღვას შუაა გადაქიმული;
თუმც პატარაა, მაგრამ ბუნებით
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული.

მის დიდროვანი მალალი მთები
შეხეთ, თითქოს ცას ებჯინებინ
და იქიღამა ტურთა ქვეყანას
ამაყურათა თავს დასცქერიან:

მე ქართველი ვარ! მთლად ქართველობა
რალაც ღრმა ძილში არის ჩაფლული
და მამულისთვის არა ღელდება
გაქვევებული იმისი გული!

როს ვაკვირდები ჩვენს ამ გვარს ყოფას,
სული და გული კენესას დამიწყებს,
მაგრამ იმედი, ისევ იმედი
სულით მაშვრალსა მარად მამხნეებს.

მე ქართველი ვარ! მრწამს, რომ როდისმე
წავა, გაივლის ეს დრო ძილისა
და ღღესა თუ ხვალ, შექველათა,
გამობრწყინდება მზე მომავლისა.

მე ქართველი ვარ! მაგრამ მითხარით:
აწ რალა არის კაცი ქართველი?

ის იმყოფება სიბნელეშია
და თვალებს სკვალავს დღისა ნათელი

აქ აღარ ისმის ხმა ცხოვრებისა,
მის შიშით მტერნი, აღარა თრთიან
და თვითონ ჩვენი ღვიძლი მოძმენი
სიცოცხლეშივე საფლავს გვითხრიან!

1873 წ.

ქ

მუშის სიმღერა

(ტომას გუდისებრივი)

მამეცით ცელი ყანებისა გასაცელავად,
მამეცით ფოცხი თავთავების მოსათოცხავად,
მამეცით დანა, წალდი, ცული,—ან რაც გენებოთ,
რომ მეცა დავრჩე ცოლ-შვილითა, თქვენც დაგარჩინოთ!
აჰა თქვენც ჩემი მიჩვეულნი შრომას ხელები,
ჯაფის სწავლაში ნაწურთნი და ნავარჯიშები.

რუს გაყვანა გსურთ, თუ მინდვრისა გაპატივება
ყანის ძნად შეკვრა, ანუ ისე აბულულება,—
ჟველა შრომისთვის ყოველს დღეს ვარ გამზადებული,
როგონდ შიმშილით არ ამობდეთ ჩემს ცოლ-შვილს სული!
თქვენც ნუ შეჭკრთებით: მე არ მიძევს გუნებაშია,
რომ თქვენი სარჩო, ჩემი ღვაწლი დაწვევა ცეცხლშია.

მე თავის დღეში ფიქრადაც არ წარმომიდგება,
ჩემგნით ცეცხლითა გადამწვარი თქვენი ცხოვრება,
მე მინდა ცეცხლი ენთოს მხოლოდ ჩემსა კერაზედ,
რომ სიცივისა და ყინვის დროს ჩემი შვილები
მის გარეშემო დამშვიდებით ისხდენ კიდეზედ
ჯანით საღები, ტანთმოსილნი, პურიც მათობები!..

მან, ვისგნითაცა სცხოვრობს მთელი ქვეყნიერება,
ვისგნითაც ყანებს კალიები მოეველინება,—
დაე, მან მეხით დაანგრიოს მისი ცხოვრება,
ვინც არ ისმინოს გულითადი ჩემი ვედრება:
და ეხლავე არ გამიჩინოს მე სამუშაო.
რალას უყურებთ, დამიძახეთ: „მოდი მუშაო.

2. ი. ბაქრაძე.

მამეციტ წალდი, ცული ტყეთა გასაჩეხელად,
ნამგალი ყანის მოსამკალად, ცელი საცელად,
როგორიც უნდა საქმე იყოს მე ავასრულებ,
მაშინ არავის ცხოვრებასა ხელს აღარ ვახლებ.
თუ არა შრომით, მაშ მითხარით რითი ვიცხოვრო?
ჩემს გაჩენაში ურევიხარ შენ, მაცხოვარო?!

ქვეყანაზედა მე მსურს ერთი ბედნიერება:
ჩემის ოფლითა და შრომითა ტკბილაჲ ცხოვრება.
მამეციტ საქმე. აჰა თქვენცა ჩემი ხელები,
ჯაფის სწავლაში ნაწურთნი და ნაფარჯიშები.
ამ ხელებითა და ფეხებით მსურს ვიმუშაო,
და არა ქვეყნად ვიწანწალო და ვიგლახაო!

მე არ ვთხოვლობ არავისგან მოწყალებასა,
და ამითი არ დავამცირებ ჩემს ღირსებასა;
შრომის დაგვარად ვითხოვ თქვენგანით დაჯილდოებას.
ქვის გულისანო! ყულს არ უგდებთ ჩემსა ვედრებას?
გაიგონევით! მსურს ვიცხოვრო ჩემის ოფლითა
და არა თქვენის საჩუქრით და მოწყალებითა.
ოღონდ კი მქონდეს ლუკმა პური, სახლი პატარა,
სხვა ამის მეტი, მერწმუნეთ მე, არა მინდა რა!..

მამეციტ წალდი, ცული, დანა, ფოცხი, ნიჩბები,
ნამგალი, ცელი, — ყველა შრომის იარაღები!
როგორიც უნდა საქმე იყოს მუდამ მზათა ვარ,
ვიდრე ცოცხალ ვარ, მე იმისი ერთგული ყმა ვარ!
ნეტავი იმას, ვინც ამ თხოვნას აგვიპრულებდეს
ან ჩვენის შრომის ფასს სრულად ჩაგვაბარებდეს!..

1877 წ. თებერვლის 20-სა.

გდებების სიმღერა

(დიუპონისებრივი)

ჩვენ რომლებსაც ცეცხლი კერაზედ
რა ირიქრაჟებს მსწრაფლ აღენთება,
და ჩვენაა შვილთა მღერით მინდორზედ
ფრინველთ და ცხოველთ ძილი უფრთხება.
ჩვენ, რომლებიცა უღვთო შრომითა
სიყმაწვილითვე ვართ დატანჯული
და ბედნიერთა ჩვენის ოფლითა
ჩვენის ცოდვითა არ სტკივათ გული—

ძმანო! ცოტას ხანს შრომა ვივიწყოთ
გავშალოთ წელი, ვახაროთ გული,
და ჩვენი ღვაწლი ჩვენვე დაეხარჯოთ
ქირის ოფლითა დასველებული.

რითია ჭლების სვე ჭბედური
მას ხელთ უპყრია ღვინო და პური...
იმის ოფლითა ქვეყანა ირწყვის,
მის შრომით ველნი იმოსებიან,
რომ ის არ იყოს, ქვეყანამ იცის,
უქმნი შიმშილით ამოჰსწყდებიან...

ძმანო! ცოტას ხანს შრომა ვივიწყოთ,
გავშალოთ წელი, ვახაროთ გული,
და ჩვენი ღვაწლი ჩვენვე დაეხარჯოთ
ქირის ოფლითა დასველებული.

ჩვენ უღვთო შრომით ღონე აღარ გვაქვს,
მის ნაყოფით კი სხვანი ჰსტკებებიან...
ამაზედ კრინტსა თუ ვინმე დასძრავს
„წესსა არღვევო“ ეუბნებიან.
ღმერთო! ნეტავი როს გვეღირსება,
რომ ყველა თავის ღვაწლით ჰსტკებოდეს.
და ამოდენა მუქთად მულაპავნი
ჩვენის ოფლითა არ სარგებლობდეს.

ძმანო! ცოტას ხანს შრომა ვივიწყოთ,
გავშალოთ წელი, ვახაროთ გული,
და ჩვენი ღვაწლი ჩვენვე დავხარჯოთ.
ქირის ოფლითა დასველებული.

შვილნი მდიდართა, მწვანე, ყვითლები,
ჩვენთა ცოლთ საღის რძით იზრდებიან,
თუ გაიზარდნენ ეს ტვინ-თხელები,
ჩვენივე მტარვალ მტრებად ხდებიან.
ჩვენში არ ხედვენ კაცურსა გრძნობებს,
ქურდნი გაცარცულთ არ გვკადრულობენ,
უიშისოდაც ბედით ჩაგრულებს
უკანასკნელსა სისხლსა გვწოვებენ.

ძმანო! ცოტა ხანს შრომა ვივიწყოთ,
გავშალოთ წელი, ვახაროთ გული,
და ჩვენი ღვაწლი ჩვენვე დავხარჯოთ.
ქირის ოფლითა დასველებული.

ძმანო! გამხნევდით!.. ჩვენ სიყმაწვილით
სინაზეს არ ვართ მიჩვეულები...
თუ აწ ვიჩაგვრით მტარვალთა ხელით
წემდეგ ვიქნებით თავისუფლები...

მხოლოდ ერთმანეთს ხელი-ხელს მიესცეთ,
ისე აღუდგეთ ჩვენსა მცარცველებს;
ჟსამართლობას თავზარი დავცეთ,
მაშინ მზე ჩვენცა, გამოგვინათებს.

ძმანო! ცოტა ხანს შრომა ვივიწყოთ,
გავშალოთ წელი, ვახაროთ გული,
და ჩვენი ღვაწლი ჩვენვე დავხარჯოთ
ქირის ოფლითა დასველებული.

1877 წ.

ჩვენებური ექიმი

(მ ი ბ ა ძ ვ ა)

როცა ჩემს სახლში ვარ მოწყენითა
და თვალებზედაც არ მომდის რული,
ვუშველო ღარიბს... მარტო სიტყვითა—
ვარ მოხარული, ვარ მოხარული!
მაგრამ საქმითაც რომა ვცდილობდე
სიგლახაკიდამ ღარიბთ გამოხსნას,—
ჯერეთ არა ვარ ეგრე სულელი...
ღმერთმა დამიხსნას, ღმერთმა დამიხსნას!

სადილის უკან გამამძღარ კუჭზედ
ვიყბედო, რომა ხალხი ბედ-კრული
იტანჯვის მწარედ შინა და კარზედ—
ვარ მოხარული, ვარ მოხარული!
მაგრამ თუ გლახა—ვიშ თაეხედობა!—
დამიწყებს ლუკმა პურისა თხოვნას,
რომ მიეცე იმას მე შემწეობა?!..
ღმერთმა დამიხსნას, ღმერთმა დამიხსნას!

ეუწამლო მდიდრის ღამაზსა ქალსა
როს იგი სენით შეწუხებული
ცრემლითა ალტობს თვისს სარეცელსა—
ვარ მოხარული, ვარ მოხარული!
მაგრამ რომ გლახა ვინმე მოვიდეს
და თავის ქალის ნახვასა მთხოვდეს,
რომ მე შეუდგე იმის მორჩენას?..
ღმერთმა დამიხსნას, ღმერთმა დამიხსნას!

ვეწამლო ყოველ გვარ სნეულობას
როგორც ერთხელვე მაქვს მიღებული
და პატივი ვცე ძველს მკურნალობას—
ვარ მოხარული, ვარ მოხარული!
მაგრამ ვიკითხო კვალად წიგნები,
ვადევნო თვალი მეცნიერებას,
მე მაგისათვის აღარ მოვცდები...
ღმერთმა დამიხსნას, ღმერთმა დამიხსნას!

როდესაც ერთი „ვიზიტისთვისა“
მეძღვევა ერთი თუმანი ფული
რომელისამე მდიდარისაგან —
ვარ მოხარული, ვარ მოხარული!
მაგრამ ვუშველო მუქთად ღარიბებს,
უფულოთ მივყვე იმათ განკურნას...
მე არა ვწყალობ მაგნიირ აზრებს...
ღმერთმა დამიხსნას, ღმერთმა დამიხსნას!

1878 წ.

რ ე რ ი

აგერ დაბინდდა. ცელქმან ნიავემა,
სასიამოვნოდ გრილად დაჰბერა,
და დღის მნათობმა ბრწყინვალე მზემა
დასავლეთისკენ გადაიწვერა.
დაღალულებმა შრომის შეილებმა
მუშაობასა თავი ანებეს,
ერთმანერთ ხელი-ხელს გადახვიეს
და სიმღერითა სახლებს მიმართეს.
ოხ, ღმერთო! ეს რა ტკბილი ხმებია!..
ვინ იცის ვისი ნათქვამებია!..
ამ სიმღერების გაგონებაზედ
გული ხან ლხინობს და ხან ღონღება;
ხალხისა ტანჯვა და სიხარული
ამა ხმებშია სულ იხატება...
აგერა კიდევ მთების იქიდან
აღმოცემიდა ბადრი მთოვარე
და თვის სხივებიჲ მთლად განანათლა
დაბნელებული არე და მარე.
მიწყნარდა ყველა. მთელი ბუნება
იმ გვარ სიმშვიდით იქმნა მოცული,
რომ თითქოს ქვეყნად აღარ სცხოვრებდეს,
აღარცა ერთი ცოცხალი სული.
მხოლოდ მშფოთარე ღიახვის ზვირთნი
მთვარის სხივებზედ ჰკრთოდნენ, ხუოდნენ,
და მათს ხუილსა მთანი და ველნი
განუწყვეტელად ბანს დასძახოდნენ...
ოხ, მიყვარს, მიყვარს, როს ბადრი მთვარე

წყლის წმინდა ზვირთებს ეთამაშება
 და ხასხას მწვანით შემკული არე
 დუმილებითა შეიმოსება.
 როს განთიადის სიოს მობერვით
 ირხევა ველი ამწვანებული
 და სადმე ახლოს გაბურდნულს ბუჩქში
 უშტენს და გალობს ნაზი ბულბული.
 ოხ, მიყვარს ეს დრო! გული-გონება
 ჰგრძნობს გამოუთქმელს სიამოვნებას,
 კვლავ მავიწყდება საწუთროება
 და მთლად ვეძლევი ტკბილსა ოცნებას.

II

ჰოი ლიახვო! აქ შენს კიდებზედ
 რავდენ ქართველთ გმირთ სისხლი დაღვარეს,
 აქ იყო რომ ხუთი საბძელი
 ნახოცი მტრების გვამები დასწევს? ¹
 აწ სად არს იმა გმირთ საფლავები?
 ვისლა სდის მათთვის ცხარე ცრემლები?
 მხოლოდ ხანდისხან გრიგალი ქარი
 მეგლოვთა ნაცვლად ზუის. ღრიალებს,
 და ცრემლების წილ ციური ნაწი
 ამ გმირთ საფლავებს ალტოპს, ასველებს.
 მაგრამ როცა მზე აღმობრწყინდება
 ეს ზეციური ცრემლიცა შრება.
 წარვიდა, გაჰქრა ძველი გმრობა,
 აწმყო წარსულსა აღარ იგონებს,
 სამშობლო მხარის უბედურება
 ეხლანდელს ქართველს აღარ აღელვებს.
 მის ბაგეთაგან აწ აღარ ისმის
 ძველი გმირული ვაჟკაცთ სიმღერა,

¹ ერთმა ღრმად მოხუცებულმა მითხრა, რომ ძველად ცხინვალ-ში, დიდი ლიახვის პირზედ, ქართველებს იმდენი თათრები დაეხოცათ, რომ ხუთი მკვდრებით საესე საბძელი დაეწვათ.

და აღარც ესმის თუ რასა ჰქვია
მამულისათვის გულისა ძგერა.
სამშობლო მხარე, მის ერთგულება
ეხლა იმისთვის არის სიზმარი
და მისი ოხვრა, ტანჯვა, ვაება,
სრულიად მტკნარად გაუგებარი.
უდარდელობა, მხიარულობა,
ცხოვრების საგნად აქვს დადებული;
მოდმის ღალატი, მტრის ერთგულება
სისხლ-ხორცადა აქვს გადაქცეული...
იმხიარულე ქართველისა შვილო!
წუთისოფლიდამ სხვა რა გაგყვება;
შენ რას დაეძებ თუ საქართველო
უზრუნველობით აწ იტანჯება...
დალიე ღვინო, დამღერე ტკბილად,
ბანს დაგძახებენ ქართველის ქალები,
მაგრამ მე კი როს ვუყურებ იმათ
თვალთა მერევა ცხარე ცრემლები.
იგინი თავის ბედკრულს მამულსა
ერთგულსა შვილებს აღარ უზრდიან,
დაბლის წინ წევას, მალლის წინ ღრეკას
ნანინანათა ეუბნებიან...

III

გათენდა კვალად. ბრწყინვალე მზემა
მოჰფინა ქვეყნად შარავანდენი
და საამოვნოდ წინ გადმეშალნენ
მწვანით მოსილნი მთანი და კლდენი...
სამშობლო მხარევ! შენი ბუნება
ყოველისფრითა არს შემკობილი:
აგერ მინდორთა აღმოცენება
აგერა ველი ამწვანებული,
აგერ რა რიგად მალლა მთებიდამ
წყარონი თავქვე მოჩქრიალებენ

და სურნელივან ყვავილებითა
მოსილს მდელიობს აბიბინებენ.
შეხედეთ ფრინველთ ამ ბუნებაში
რა მხიარულად სუნთქვენ, გალობენ,
და თავიანთსა მწუხარებასა
შეუშინებლად ცხადათა სთქვამენ.
ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ამ ბუნებაში
კაცი რაღათა სუნთქავს ძნელათა,
რისთვის იგიცა თავისთ ზრახვათა
არა გამოსთქვამს თავისუფლათა?!

1878 წ.

ს ი მ ლ ე რ ა უ

არც სახლი მაქვს, არც კარი,
ვარ შრომის ანაბარად,
ზეცა და მთა და ბარი
მიმაჩნია სახლ-კარად.

ყალბის ფულით სიმდიდრეს
გულში არ გავიტარებ,
რასაც შრომით მოვიგებ
იმითი გავიხარებ.

როცა მაქვს ლუკმა პური
და ზედ წითელი ღვინო,
მაშინ ვით გასძლოს გულმან
რომ მეც არ მოვილხინო.

ბრიყვი მდიდარი კაცი
მუდამ ფულებზედ ზრუნავს,
შიშობს, ვითა დიაცი,
მღვიძარეა თუ სძინავს.

მე კი მუდამა ვხარობ
გულთა ბედნიერით;
დავდივარ ქუჩებს ვამკობ
ჩემის ტკბილის სიმღერით.

დავდივარ და ვიმღერი,
ქარი ბანს მეუბნება...
ჩამოდექით მდიდრებო,
ლარიბი მობრძანდება.

1878 წ.

სალამოს სუკათი

დღისა მნათობი,
ქვეყნისა მთბობი
დასავლეთისკენ მიეჩქარება,
მის ნაცულად მთვარე
სხივთ მომფინარე
აღმოსავლეთით მოიპარება.

განათლდა არე,
ყოველი მხარე,
დუმილებითა არის მოცული;
მხოლოდა კოტი,
უშნოდა მროტი,
იძახის სადღაც გამალებული.

წყალი ანკარა
მორბის ჩქარ-ჩქარა,
მის ჩხრიალს ტყენი ბანს დასძახიან;
ცისა ვარსკვლავნი,
ტურფად მბრწყინავენი
იმა წყალშია იხატებიან.

ვიშ ამ სალამოს,
ტურფა საამოს!
ვინ სკვრეტდეს, რომ არ განისვენებდეს;
გულისა ტანჯვას,
ავ ენათ ძრახვას,
მცირედ ხანს მაინც არ ივიწყებდეს?..

უანგარო სიყვარული

ნუ მკიცხავ, ჩემო მშობელო,
რომ მისკენ რბის ჩემი გული;
უიმისოთა, კეთილო,
არს სიციოცხლე უფერული.

მე თვით არ ვიცი ვით მოხდა,
რით შეიპყრო მან ეს გული,
რომ მძინავს, თუ მღვიძარე ვარ,
მაზედ ფიქრით ვარ მოცული!

მისის ტრფობით მეწვის გული,
თითქოს ცეცხლი მეკიდება;
ყველა მაქვს დავიწყებული
მხოლოდ იგი მაგონდება.

მართალია, ღარიბია,
სხვაფრივ კია კაცი სრული;
მე მინდა ქმრად კაცი მყავდეს
და არ ბრიყვი მდიდრის ფული.

შემიბრალები, მშობელო,
რათ გსურს გული მეტანჯოდეს?
ჩანს ბედი ჩემი ეს არის,
რომ მე ის უნდა მიყვარდეს..

* *

როდესაც გული კინესას დამიწყებს
და სახე კმუნვით შემემოსება,
შენ ესა, სატრფოვ, ნუ შეგაშინებს,
ნუ მკითხავ თუ რა მაქვს მწუხარება.

ტანჯვასა გული არის ჩვეული,
ვერა რას უხამს მას მწუხარება:
ოლონდ შენ გნახო გალიმბული,
კმუნვა სახიდაძ მსწრაფელ გადმეყრება!..

1878 წ.

ბ ა მ ო ხ მ ო ბ ა

ჩემს გარშემო ყველა სდუმდა,
მისწყდა ხმა მუშაობისა;
მხოლოდ მაღალის მთებიდამ
ისმის ხმა გამოხმობისა.

ესე ცელქი გამოხმობა
ხშირ-ხშირად მესაუბრება,
და იმისგან ჩემი გული
ხან ლხინობს, ხან იტანჯება.

„ნუთუ არ დაუბრუნდება
ქართველის ხალხს ბედნიერება?“
გამოხმობა მთის იქიდან
გამოსძახებს: „შეიძლება!“

„განახლდება ჩემი ერი,
თუ მონობის ქვეშ დარჩება?“
გამოხმობა გამოძახებს:
„იღვიძეთ და განახლდება!“

„ვინ გააღვიძებს ამ ხალხსა,
რომ არ ჰყავთ კაცი არც ერთი?“
გამოხმობა დაკინებით
გამომძახებს ხოლმე: „ღმერთი“.

1878 წ.

გლეხის საღამო

ი დ ი ლ ი ა

I

ზაფხული არის; სამკალის ყანით
მთლად მინდორია აქრელებული,
და შრომის შეილი გლეხი ნამგალით
მკის თავის ყანას გაჩქარებული.
იმის გულიანს „ჰოპმის“ გუგუნსა
მთანი და ველნი ბანს დაძახიან;
მწყრები კი ამით შეშინებულნი
ყანის თავშია იპარებიან.

II

აგერა მზემაც გადაიწვერა,
მღვდელმა ლოცვისა ზარი დარეკა;
მწყემსს გაეხარდა, მორთო სიმღერა
და საქონელი წინ გაირეკა.
პაწაწკინტელა სოფლის ბიჭები
მირეკილს ნახირს წინ მიეგებნენ,
გამოარჩიეს თავეთ ძროხები
და შინისაკენ ერეკებოდნენ...

III

შესწყვიტა გლეხმაც „ჰოპმის“ გუგუნი,
ყანაში მწყერიც აღარ ტყუტყუბს;
მხოლოდ მოისმის მტრედის ლულუნი,
რომელიც პურის ჰკენკავდა მარცვლებს.

გლებს უხარიან, რომ მუშაობას
მორჩა. გაირკო წელში ნამგალი;
მიდის ახაროს შინ ჯალაბობას,
რომ უხვად არის წელს მოსავალი.

IV

შრომისა შეილო! წლის მოსავალი
ნუ გეგონება, რომ ისე მოსცდეს,
რომ კირნახულის ახალ მოსვლამდინ
იგი შენთვისა არა კმაროდეს.
მაგრამ შენს შრომას, შენს კირნახულსა
მრავალნი უქჳნი შემოსცქერიან;
შენ შრომისაგან წელში იხრები
და იგინი კი მხოლოდ მღერიან...

V

აგერ სოფლისა გამონაპირას
სჩანს მისი სახლი გამოჰიმული,
რომელს სხვადასხვა ხილის ხეები
საამოვნოდ აქვს გარს შემორტყმული.
აწ გლები იქით მიეჩქარება...
იქ შეილებითა გახარებული
ცოლი თავის ქმარს მოელოდება,
მისდამი ტრფობით გულ აღვსებული...

VI

აი გლებიცა მოვიდა სახლში.
ცოლი შეილებით წინ მიეგება;
ქორთა კი მწოლა ისევ აკვანშე
ლიმილით მამას ეტოტინება.
ცოლ-შვილით ტკბარმა ნეტარმა მამამ
კოცნა მიუძღვნა შვილს ორჯელ ორი;
სათამაშოთა და გასართობლად
მინდვრით მოჰგვარა მწყურისა ჩოჩორი.

VII

საამურია, როს დაღალული
კაცი შრომითა სახლში ბრუნდება,
და ცოლი ტრფობით გატაცებულ
მხიარულებით წინ შეეყრება!
იმის ღიმილზედ და დანახვაზედ
ტანჯულსა გულსა ესალმუნება
და მოწოლილი დარდები გულზედ
მცირედაც არის შეუმცირდება.

VIII

აი მოვიდა გლეხის ქალიცა,
თეთრ-წითელი და ტურფათ მოსილი;
საკმარი არის მის თვალებიცა,
რომ მთლად შეიპყრას ვაჟ-კაცის გული.
ნეტავი იმას, ვის ბედიც ის არს,
ვისაც მეუღლედ იგი შეხვდება;
მას ტანჯვა-შრომის შუა-მყოფელი
არც ერთსა წამსაც არ მოაკლდება!

IX

ყველანი შეკრბნენ; გულ მხიარულნი
ერთმანეთს ჰკითხვენ ახალსა ამბებს,
და კერის ახლოს ეს კურთხეულნი
განატარებდნენ ტკბილად ღამეებს.
მამა თვის შვილებს თვალს არ აშორებს,
მათი ტიკტიკი მას გულს უხარებს;
დედას კი ხელში ნემსი უჭირავს
და უნცროს შვილსა პერანგს უკერავს.

X

ჩუ! ვილასიცა ფეხის ხმა ისმის,
ვგონებ ეწვიათ ვილაც სტუმარი!
გლეხის ქალი კი ხმაზევე მიხვდა,
რომ ეს მისული მის საქმრო არი.

ქალსა სიწითლე სიყვარულისა
მთლად სახეზედა გარდაეფინა
და სიხარულით ეშხისა ცრემლი
შავთა თვალთაგან გადმოედინა.

XI

ოხ, სიყვარულო! ნეტავი იმას,
ვის გემო შენი აქვს გაღებული;
გულის აღმტაცო, ცხოვრების წყაროვ,
ვისგნით ხარ ქვეყნად მოვლინებული?
თვით ღვთაებრივი მასწავლებელი
უქადაგებდა ხალხს სიყვარულსა;
მეც მას თაყვანს ვცემ, თუმც დღევანდლამდის
იგი უწყალოდ მიკოდავს გულსა...

XII

მაგრამ სუფრაცა აგერ გაშალეს;
შრომისა შეიღნი გარს შემოუსხდნენ
და ერთმანეთის სადღეგრძელოებს.
ყანწებით ღვინოს შეექცეოდნენ.
სტუმრის მოყვარე გლეხისა ცოლი
უხვად რძეს, მაწონს ეზიდებოდა;
„ყველი, პური და კარგი გულიო!“
გლეხი სასიძოს ეუბნებოდა.

XIII

ვახშამსაც მორჩნენ. ყველანი კერას
მხიარულათა გარს შემოუსხდნენ
და ხვალინდელის დღისა შრომისა
ერთმანეთშია ინაწილებდნენ.
გაინაწილეს. დერეფანშია
დასაძინებლად ყველანი დაწვნენ,
რომ აღრიანად ხვალ მინდორშია
კვალად ყანისა მკას შესდგომოდნენ.

11 მაისს 1878 წ.

ჩემი სამშობლო

შენ არ იცი ჩემი სამშობლო მხარე?
ორ ზღვის შუა იგი სიტურფით ბრწყინავს, —
მრავალ ბრძოლათ მოწამე მისი არე,
ბევრს აკვირვებს, ბევრის თვალსა იზიდავს.
იგი იყო ძველად გმირთა აკლდამა,
მაგრამ ბედმა ამ ბოლო დროს აწამა...

არ გინახავს მაშ შენ ჩემი მამული?
სიდიდითა ის არ არის განთქმული;
პატარაა, მაგრამ მარგალიტია,
გალიაში დამწყვდეული ჩიტია.
ელის დროს, რომ დაიბრუნოს დიდება,
რისთვისაც ბევრჯელ სისხლით იღება.

შენ არ იცნობ ჩემს მშვენიერ სამშობლოს?
აწ ბედისგან ის არის დალაგმული;
მაგრამ შვილთა თავი მას ენაცვალოს,
რომ უყუჩდეს მტრისგან დაღი დასმული
და შეიქმნეს კვალად მორკმულ-ძლიერი...
ეს ქვეყანა არის ჩვენი ივერი.

ეს არს, ეს არს ჩემი ტურფა მამული,
წინაპართა წმინდა სისხლით მორწყული;
ვინც არ არის ორ-პირი და ფლიდია,
იმისათვის იგი ძლიერ დიდია.
მაშ იბრწყინვე ჩემო სამშობლო მხარე,
შენს მტერს თვალში ნაცარი ჩააყარე!..

* *

— შენ სტირი და ლაწვებზედა
ჩამოგდის ცრემლი მდულარე;
— თვალთ მარიდებ, მაინც გატყობ,
რომ ხარ ტანჯულ და მწუხარე.

ვიცი, სატრფოვ, შენცა გტანჯავს
ულმობელი ეს სოფელი,
მაგრამ ცრემლთა ვითა ძალუძსთ
გარდგიყარონ გულს ნალველი.

ჰირსა შინა გამაგრება
ვაქეცისო არის წესი,
მაშ დასტოვე მწუხარება
და იყავი ვით ტალ-კვესი.

მაგრამ შენ მე ყურს არ მიგდებ,
ჩაგილუნავს მწარედ თავი;
რა ვქნა! მაშ მეც ტირილს ვიწყებ,
მეც ვარ სოფლის მომდურავი.

1881 წ.

* *

თუ გინდ ასტყდეს ქარიშხალი,
თუნდ ცამაც მოიშაებედოს,
ვერაფერი მე ვერ გამზდის
სულ მოკლეს და უიმედოს.

ეს იმედი მასულდგმულებს,
ამითი ვარ ზე ცოცხალი,
ლამპარივით გზას მინათებს,
მისითა მრწამს მომავეალი.

ზალ-ზალ მეტყვის: „გამხნევდიო
ყველა წავა და წამოვა,
და შენის ქვეყნის ბედიო
კვლავ დიდებულად ამოვა“.

1881 წ.

ჩემს მეგობარს

ძმაო, მკითხავ მიზეზს შენის ტანჯვისას,
გსურს გაიგო რად ხარ მშვიერ-მწყურვალნი,
რად არ ხედავ ნაყოფს შენი შრომისას
და რადა ხარ ბედისა მოტირალი?

თუმც აწ შექთად არ აძლევენ რჩევასა,
და ითხოვენ სასყიდელსა ყველანი:
მაგრამ მე არ მივბაძავ მათ ქცევასა,
მინდა მოგცე მცირე დარიგებანი:

შენ ისევე სცნობრობ მამა-პაპურად,
და ტანჯულთა შვილისათვის მზადა ხარ;
სინიდისი გულს გიღვივის ლამპარად,
ღმერთო ჩემო! რა გულწრდელი რამა ხარ!

აწ სინიდისს, ძმაო, ყურს ვილა უგდებს,
ის ყველასთვის მეტი ტვირთი გამხდარა;
ვინც გამვლელს და გამომვლელს არ ატყუებს,
მისი საქმე იცოდე რომ წამხდარა!

მეშაობით თუნდ წელშიაც სწყდებოდე,
თუ მიჰყვები სინდისსა და სიმართლეს,
ჩემო კარგო, დრო არის, რომ იცოდე,
ასე ქცევა გამოგილევს სინათლეს.

ერთსა გირჩევ: ისე გიჯობს სიკვდილი,
სინამ ძალ-გიძს სამარის მოპოვება;
დაამტკიცე, რომ შენც ხარ გამოცდილი,
თორემ, ჰხედავ, საფლავებიც ძვირდება.

1891 წ.

* *

გულდაწყვეტით ცაზედ ვეძებ
ჩემის ქვეყნის ბედის ვარსკვლავს,
მაგრამ მისი უჩინრობა
სულს მიწუხებს და გულს მიკლავს.

სად ხარ, სადა, ჰე ვარსკვლავო?
გელოდებით გულის ძგერით;
უშენობით ზამთრის სუსხით
გაეთოშდით და დავიძვრით.

აკი ძველად ბრწყინვალეებით
თავს ადექი შენს ივერსა,
და ბრძოლის ველს უნათებდი
სახელოვანს იმის ერსა.

აწ გეაჯით გამობრწყინდი,
სხიენი შენნი მოგვაყარე,
და ესდენ ხნის შავი ბინდი
გაჰფანტე და გადაყარე.

1881 წ.

* *

ტურფა ვარდად,
დაუმკნარად,
მსურს სატრფოვო მარად იყო;
მე კი ჩიტი,
ანუ გვრიტი,
თავისუფლად მფრენი ვიყო,
რომ შენს გულში,
აღზნებულში,
გავაკეთო ტრფობის ბუდე;
ზამთარ-ზაფხულ,
დღე და ღამ სულ,
შენს სიტურფეს დავმღეროდე,
და იმ მღერით,
გულის ძგერით,
მთა და ველი იმკობოდეს;
ვინც ისმენდეს,
უველა სძგერდეს
და ჩვენს ბედსა დანატროდეს.

1881 წ.

ნუ კვარგავ იმედს!

ნუ ჰკარგავ იმედს
რომ ქართველისა ბედს
აწ გადაჰკვრია შავი ღრუბელი,
და იმის ვარსკვლავს,
მომავლით ბრწყინავს,
უშლის მოჰფინოს თვისი ნათელი.
ამ გვარნი დრონი
ძნელ მოსაგონნი,
ჩვენთ წინაპართაც ბევრჯელ სდგომიათ;
მაგრამ იმედი
წინამორბედი
მათ არასოდეს არ დაჰკარგვიათ...
ეხლაც მოვა დრო,
ტკბილ სანეტარო,
ბედის ვარსკვლავი კვლავ აღმოხდება,
და ეს ღრუბელი,
შავი და ბნელი,
ანაზღეულად გაიფანტება:
მაშინ მამული,
მრავალ-ტანჯული,
იმის სხივებზედ ისე იბრწყინებს,
ვითა (ის ცვარი,
ვარდზედ მკთომარი,
მზის სხივზედ დილით თრთის და
ბრკუეიალებს.

საჯაროსადგმი

სატრფოვ შენს ბაგეს,
გულის დამდაგეს,
ეტრფის გონება;
ობოლი გული,
ტრფობით ტანჯული,
შენ გემონება.

ვითა წყალ-წყალა,
ჩიტი ცქრიალა,
დასტრფის მდინარეს,
მეც ეგრედ მსურის,
მარადის მწყურის
ვსკვრეტდე შენს თვალებს,

რომ ეშხის ცრემლნი,
თვალთგან ნადენნი,
გულს დამდიოდეს,
და ცეცხლს მოდებულს,
ტრფობით აღგზნებულს
გამინელებდეს.

1881 წ.

„მომილოცნია ახალი წელი“

I

ჟამთა მდინარე მირბის და მირბის,
მაგრამ ქვეყანა უცვლელად რჩება;
ვინც დღემდის სტირდა, ის ისევ სტირის,
ისევ იტანჯვის და ეწვალება.
მაინც ახალის წლისგან ელიან
შეებასა გლახა, ბრძენი, სულელი
და ალტაცებით გაიძახიან:
„მომილოცნია ახალი წელი!“...

II

მეც არ დაეკარგავ მამა-პაპურ წესს,
არ გადავიწყვეტავ შეების იმედსა;
ამ წელიწადსაც კიდევ გამოვცდი
ჩემს დაუნდობელს და მუხთალ ბედსა.
და ეხლაც, როგორც წარსულ წელშია,
ვიმხიარულებ გულითა წრფელი,
და ვეტყვი ყველას, თასით ხელშია:
„მომილოცნია ახალი წელი!“..

III

ვინც ძველის წლისგან გულ-ნაკლულად ხართ
და ახლისაგან მოელით შეებას;
ვინც წარსულშია წაგებულნი ხართ
და მომავალში ელით მოგებას, —
გამოდით ყველა რკინის კეტებით,
ძველს წელიწადსა მოვწყვიტოთ წელი
და ყველას ვუთხრათ სავსე თასებით:
„მოგვილოცნია ახალი წელი!“..“

* *

წალმა-უკულმა აბრუნებს
წუთისოფელი ჩვენს ბედსა,
ხან ცხარის ცრემლით გვატირებს
და ხან კი გვაძლევს იმედსა.
მე კაცისა ეს მაკვირებს,
ეს მიშფოთებს გულ-გონებას,
რომ ლხინსა და მწუხარებას
მალე აძლევს დავიწყებას.
ერთი აფრქვევს ცხარე ცრემლებს;
მაგრამ როს მზე აღმოხდება
და ჩიტიც დაიმღერებს
გულს ნალველი გადევრება.
მეორე კი მნიარულობს;
მაგრამ მასაც დრო უდგება,
როცა გული აღარ ხარობს,
ლხინი კირად შეეცვლება.
ჩემს გულს ეს აქვს საწუხარად
და გონებაც ვერ მიმბვდარა:
სევდა რად არს ჩვენთან მარად
და ლხენა კი მირბის ჩქარა.
წალმა-უკულმა აბრუნებს
წუთისოფელი ჩვენს ბედსა,
ხან ცხარის ცრემლით გვატირებს
ხან კი გვაძლევს იმედსა.

ჭ მ უ ნ ვ ა

(მიბაძვა)

დალამდა. მისწყდა ხალხის ყაყანი,
მთა-ბარს გადეკრა ლამის წყვილიადი,
ალარ სჩანს ქვეყნის ბოროტებანი,
მაგრამ ჩემს გულს კი ჰკლავს ხვაშიადი.
შუბლით ჩამომდის ოფლი წურწურით,
შრომით დამაშვრალს მიკენესის გული,
ისლა მაქვს ფიქრად, რომ ღამე მაინც
ვიყო უდარდო, მოსვენებული.
მაგრამ ხვალა? ხვალაც ამ გვარად
შრომისა ოფლი უნდა დაფლვარო,
რომე ჯალაბი ღეთისა ამარად
ულუკმა-პუროდ არა დაეყარო.

სანთელიც გაჰქრა, აღარა ბუტუტავს,
ჩემს ოთახშია სუფევს ღუმილი;
დიდი ხანია სუყველას სძინავს,
მაგრამ ჩემთვის კი სად არის ძილი!
არა, იქ ძილი არ შეიძლება,
გული-გონებაც ვერ მოისვენებს,
როდესაც ღამეც ის გაგონდება,
თუ რით დაარჩენ შენს ცოლსა, შვილებს.
როდესაც ხვალაც ისევ ამ გვარად
ოფლი წურწურით უნდა გდიოდეს,
ხარისავითა წრომოზღე მარად,
მაგრამ მაინც კი ისევ გწიოდეს.

რათა? რისთვის? რის მაქნისი ხარ
ჰოი, სიციცხლევ, ბოგანო კაცის?
თუ კი ის მარად მომდურავია
თავის ბედისა, ქვეყნისა და ცის.
თუ კი მას ტანჯვა წილად ხდომია,
თუ შეაქცია ზურგი შვებამა,
შესწყდი სიციცხლევ, — ბევრად სჯობია,
რომ მოისვენოს გულ-გონებამა.

1882 წ.

სიმღერა მთასველისა

ტოროლავე, ჩემო ტოროლავე,
ჩემს ყანას თავს დასტრიალე,
მთა და ბარის შესამკობლად
ხმა ტკბილად ჩააქრიალე.

ადი ცაში სიმღერითა,
ჩემო ჩიტო, ცელქო, მარდო,
რომ ეგებ შენის ცქერითა
შეც გლახ-გულით ვინაჯარდი.

შენ იმღერე, მე დავთესავე,
და თან იმას ვინატრიდეთ,
რომ სიმღერით დათესილსა
სიმღერითვე მოვიმკიდეთ.

მაშინ, შენ ჩემო ტოროლავე,
მოსაველი შენიც იყოს:
ჩემს პაწია ბიქსაც ვეტყვი,
რომ მახე აღარ დაგიგოს.

მაშ იმღერე, იცქრიალე,
გადმიყარე გულს ნაღველი,
იმხიარულე, მინამდის
ტურფად ჰყვავის მთა და ველი.

1882 წ.

ამაო სუკვილი

მინდა რომ ვიყო მდინარედ,
შენს ახლოს მოვჩქრიალებდე
და შენს საყნოსველს ჰაერსა
გრილის ნიავეით ვავსებდე.
მინდა რომ ვიქცე სარკეთა
და შენთან ვიმყოფებოდე,
რომ ყოველს საათს და დღესა,
სატრფოვო ჩამომცქეროდე.
მინდა რომ ვიყო ფარვანა,
თავს გევლებოდე, დატრფოდე
და შენის ტრფობის ალითა
ვიწოდე, ვიდაგებოდე.
მინდა რომ ვიყო... მაგრამ ჰე!
ვინ შემისრულებს სურვილსა,
შენ ბედი ღიმილს გიმზადებს
და მე კი ოხვრა-ტირილსა.

ს. მესხის პარამეტრიკაზე

ჩემო სამშობლოვ, ზედ-შავ ბედ-კრულო,
ე'რედ რად გდევნის სვე მუხთალია:
ზოგიკვდა იგი, ვინც შენს ტრფობაში
სიცოცხლე თვისი სრულად დალია;

ვინც თოთხმეტის წლის განმავლობაში
შენ აგიყუდა თვის გული ფარად
და განაწონნი შენ და ისარნი
იმ გულს ხვდებოდენ დღე და ღამ მარად,

აწ გაჰქრა იგი, ის წმინდა სული,
დაშრტა მის გული შენთვის მღელვარე
და სიკედილის ჟამს მხოლოდ ესლა სთქვა:
„მშვიდობით, ჩემო სამშობლო მხარე!“

ბ ა ლ შ ი

ვხედავ ბავშვებს, მშვენიერად დართულებს,
კასკასობენ, ცელქობენ, ნავარდობენ;
ხან ვარდს ჰგლეჯენ, ხან დასდევენ პეპელებს,
ხან ჩიტების ჟრიაშულით ხარობენ.
ღმერთო, ღმერთო! შენ მომადლე მათ ყველას
წმინდა გრძნობა—ხალხისა სიყვარული,
რომ იმათგან ელოდებოდენ შევლას —
ქვრივ-ობოლი, დეენული, დატანჯული.

იქვე ვხედავ საწყლად მობუზულებსა,
შრომისა და სიღარიბის შვილებსა;
დაძონძილი სამოსელი აცვიათ,
ულვთო შრომის დაღი ყველას ატყვიათ.
ღმერთო, ღმერთო! შენ იყავი მათია
შენ მომადლე ყველას ძალა შრომისა;
თვითაც უწყი, რომ იგინი არიან
„მარილნი ამა ქვეყნისა“.

* *

I

სინიღისი, სიმართლის ტაძარია,
უიმისოდ კაცის გული მკედარია;
მაგრამ აწ ხალხს იგი ვირზედ შეუსვამთ,
სიყალბე კი მალლა თაროს დაუსვამთ.

II

აზრი წმინდა გონებას აცისკროვნებს,
უმეცრება სრულიად ხშობს, აბნელებს;
მაშ აწ აზრი რად არი დალაგებული,
უმეცრება კი აღვირ აშვებული?

III

ეთხოულობდი—არავინ მიბრალებდა,
ვტუროდი და ყველანი დამცინოდენ;
როს სიმშლილი ცოდვას მადენინებდა
„ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ!“ მსაჯულს ეუბნებოდენ.

* *

ღამეა. სატრფოვ მარტო ვარ,
შენსკენ რბის გული-გონება;
თვალწინ მიყენებს შენს სახეს
ალტაცებული ოცნება.

ბედნიერებით დამტკბარი
შენს ფერხთ წინაშე ვიხრები:
დაგტრფი, დაგმღერი, დაგხარი
და გრძნობის ცრემლად ვიღვრები.

და გეტრფი სინამ მთიები
არ განანათლებს სამყაროს,
მაშინ შენ კვალად მშორდები
და ობლად მტოვებ საბრალოს.

აღბოვნი

*-სას

ვით შემოდგომის აედრიანს დღესა
როს ბრწყინვალე მზე გამოაშუქებს,
და ჯანლით მოცულს არე-მარესა
აკხოველებს და აზხიარულებს;

ეკრეცა, ტურფავ, შენი ღიმილი
შენსა ღაწვებზე როს გამოკრთება,
ტანჯვა-ვაებით გული დაღლილი
კვლავ სიყვარულით აღფრთოვანდება.

მაშინ სიცოცხლე აღარ მიჩანს ტვირთად.
ოცნება კვლად მიხალისდება,
და მოსაწყვეტად შენის ღიმილის
დაჟინებითა მოიწრაფება.

* *

აღარც რწმენა და აღარც სასოება
აღარ ათბობს გაცივებულს ჩემს გულსა,
დღე-ღამ მტანჯავს სასოწარკვეთილება...
ვამ გულსა უიმედოდ შთომილსა.

მეგობრები ნუგეშს ამითი მცემენ:
„მოიცადე, მოვა გაზაფხულიო
და შენს თვალწინ კვალად გაიტურჩქნება,
შენი სატრფო ზამთრით დასუსხულიო“.

მოვდივარ და მოვტირი წუთისოფელს,
სიყმაწვილე მოლოდინში გავლიე,
მაგრამ მაინც იმა გაზაფხულისა,
სიტკბოება ვერა და ვერ დავლიე.

გულო, მაინც დაუჯერე მეგობრებს,
გამხნევედი და მოიეც სასოება;
ეს აედარი ერთხელც არის გადილებს,
ამდენ აღმართს თავდაღმართიც ექნება.

გაზაფხული

1

თოვლი სულ დადნა; მთებიდამ
დაიწყო წყალმა ჩქრიალი;
მოფრინდენ უცხო ქვეყნიდამ
მერცხლები,— შექმნეს ცქრიალი.

2

ლაქვარდსა ცაზედ მზე ბრწყინავს...
ხმა ისმის სამხიარულო...
ყვავილებით ველი ფშვინამს...
გამარჯვება გაზაფხულო!

* *

წარვლენ წელნი, და სამშობლო მხარეც,
მუხთალი ბედი შენც გაგილიმებს,
გაეა ღამე და სხივ-მომფინარე
დილის ცისკარი მოგაფენს სხივებს.
კურთხეულ იყოს ის წმინდა წამი,
გულს გეპკურება, ვით ვარდს ცის ნამი.

მაშინ შენ ღმერთად გადაგეცვლება
ესდენ ხნის ტანჯვა გულის დამწველი;
სწავლისა ღმერთი მოგეფინება,
დაგებადება სხვა რუსთაველი, /
და როს გაისმის მის წმინდა ქნარი
გაცხოველდება მთლად მთა და ბარი.

კიდით-კიდოდამ ყველგან განხდება
ხმა მზიარული შენი შვილების;
მათ გულის ნატვრა შეუსრულდება,
დაგიდგმენ ტაძარს თავისუფლების.
ოხ, მარტო ის აქვს გულს საწუხარი,
ვაჰ თუ ვერ ვნახო ის დრო ნეტარი.

დაე ნუ ვნახავ აღტაცებითა
მაინც მოველი შენს კომაეალსა:
მეც ხომ ვტანჯულვარ შენის ტანჯვითა,
მეც ვადევნებდი შენს გზა-კვალს თვალსა...
შენდამი ტრფობას, და სასოებას
სამარეშიაც თან ჩავიყოლებ,
იქაც არ მივცემ გულს მოსვენებას,
შენით ვაძგერებ და ვასულდგმულებ.
და მხოლოდ მაშინ მეც მოვისვენებ
შენს... როს გავიგონებ.

1885 წ.

მოგილოცავთ ახალს წელსა!
ჟამთ უუსკრულში გაჰქრა ძველი...
ოხ, ნეტავი მას თან გაჰყვეს
დარდი გულის დამტანჯველი.

ყველა, რაც კი ხელს გვიცრიდა,
გვიშხამავდა აღტაცებას,
და რაც წინ ელობებოდა
ჩვენის ქვეყნის წარმატებას, —

გაჰქრეს, გაჰქრეს საუკუნოდ,
ალიგაოს მისი კვალი
რომ წელს მაინც შეგვირიგდეს
ბედი დიდხნით შემომწყრალი.

შური. მტრობა, ორგულობა
მარად იქმნეს დამარბული;
ჩვენი გული ტახტად იდგეს
და ზედ იჯდეს სიყვარული,

რომ თვის მადლით მან განბანოს
საქმე ჩვენი შემწიკლული
და სუყველას ჩაგვინერგოს
ტანჯულ ძმათა სიყვარული.

გული თითქოს მეუბნება,
რომ დროს ვნახავთ სანატრელსა:
ტანჯვა, გლოვა მოგვშორდება...
მოგილოცავთ ახალ წელსა!

* *

საესე ფიალით, გულის ტრფიალით,
მომილოცნია ახალი წელი,
მტკიცე იმედით და სასოებით
გაუუდგეთ გზასა,—მომეცი ხელი.

თესლი კეთილი ვთესოდ და ვთესოთ,
ვიწრომით როგორც უკეთესია,
თუ გინდ რომ კიდევ იგი ვერ მოვმკოთ,
რაც ოფლის ღვრითა დაგვითესია.

ვინ იცის, იქნებ ჩვენსა ნათესსა
ღვარძლი, სანთელა გამოერიოს;
რა ვუყოთ, ჩვენ ხომ წმინდა დავთესეთ
მომავალმა ის დაე გამარგლოს.

აწ კი ფიალით, გულის ტრფიალით
მსურს შენთან ერთად მეც მოვილხინო:
ვინატროთ, რომ ჩვენი ცხოვრება,
დულდეს ვით ამა ქიქაში ღვინო.

ბღახის სიმღერა

მზიან, მზიან, მზიან,
გულ-მუცელი მეხრუკება;
შინ ცოლ-შვილი მიწივიან,
მათის ცქერით გული კვდება.

მაგრამ ვაი! ჯბედღურმა
სად ვიშოვო ლუკმა პური,
დამასუსტა სიბერემა,
სნეული ვარ და უძღლური.

შევთხოვ გამვლელს და გამომვლელს
მომიგდონ ლუკმა პატარა,
მაგრამ სუყველა მეძახის,
„შეგვინდევე! თოღუთინარა!“

ამგევარად გაუკითხავე
დაეწანწალობ ქუჩა-ქუჩა.
ღმერთო! ესდენ უღვთო ხალხი
ქალაქში რამ მოაქუჩა?!

ქელებს რომ არ შევსწრობოდი
უნდა მომეკლა დღეს თავი...
ღმერთო მიეც მკვდრის სულს ლხენა,
თუ იყო შენი მოსაუვი.

ოხ, რომ ქალაქის მდიდრები
ყოველდღე ქელებს მართავდენ,
და ვინცა ვართ მშვიერები
მკვდრის სულისათვის გვიწვევდენ.

მაშინ ჩვენსა უბედურ ბედს
ოთხფეხი აღარ დაჰყეფდა
და ხალხი ჩვენის თხოვნითა
თავს აღარ გაიხვებდა.

დღეს მე გავძებ... მაგრამ ჯალაბს...
შიანთ, შიანთ, შიანთ, შიანთ...
ვინც იმათ არ გაიკითხვენ
ოხრად სარჩოც დარჩენიათ.

* *

კულ-ქიცინა ჩემსა ცუგოს
ტკბილათა სძინავს,
კრაზანა მას არ ასვენებს,
ბზუის და ჰფრინავს.

კრაზანამ ცუგოს ბზუილით
დაუფრთხო ძილი,
წამოვარდა, რომ კრაზანას
წააელოს კბილი.

ბალახებში კრაზანამა
დაიწყო ფრენა:
ცუგომაც მას უწყო დევნა
ყეფა და ღრენა.

როცა ყეფით დაილაღა,
მან განიზრაზა,
დაეჭირა იგი პირით,
გააღო ხაზა.

მაგრამ კრაზანამ მას ხერხი
სულ გაუცრუა:
უკბინა და ცუგომ კუდი
ამოიძღა.

ცუგო დაბრუნდა ბრძოლიდამ
დამარცხებული,
წამოყუნტდა მოწყენითა
ტუჩ დაშვებული.

* * *

ერთ საღამოს, ჩემთვის მარად დილამან,
სატრფო ჩემი მამაჩვენა დილამან,
გამილიმა, არ ინანა, ვინა? მან,—
ვერ ვეზაგე დამიშალა მინამან.

მყის დავბრუნდი ხედვა დაღამებული
და შემეჩმნა კმუნვა გახელებული,
მისკენ რბოდნენ სული, გული დაგული,
ოჰ, ძნელია მოტრფე იმედ დახშული!

არა ვგონებ მე არ შემრჩეს ის სახე,
რომლისათვის გახელვებით ვი ვახე,
აწ ვინანი, ბაგე რად არ შევახე,
აწ მან მინამ რად დამიგო მე მახე!

შენა სჯიროდი

შენა სტიროდი: როდესაც ცრემლით
აღგევესო ტურფა შავი თვალები,
გეგონებოდა ციურის ნამით
ყვაფილებია დანამულეები.
შენ იცინოდი: ამ დროს აღმასმა
შენს ღიმითანა გაიკრიალა,
მაგრამ იმანაც ვერ დაუმალა
შენსა თვალებსა მგზნებარე ძალა.

* *

ვითა ბრწყინვალე შვისა ამოსვლით
ბუნებას კვალად გაეღვიძება,
და დაშთენილი ბურუსი მთებზედ
ანაზღეულად გაიფანტება.

ეგრეცა შენის ნაზის ღიმილით
დაბუნდულს გულსა ჰყენ ბრწყინვალეებას,
და მოცინარის შენის თვალებით
აქრობ მასშია მთლად მწუხარებშს.

* *

რას გვარგებს შენი იგავნი,
გიპოტეზთა რახა-რუხი!
ამ დაწყველილსა კითხვებზედ
მოგვეც პირდაპირ პასუხი!

რადა ზიდავს წამების ჯვარს
სულ მართალი ვაებითა?
რად ხედებიან ურცხვს და უქნარს
ყველგან პატივ-დიდებათა?

3 0 0 0 0

სანყალი ზიგა

I

ერთს ტყის პირასა,
გორის ძირასა,
სოფელი არის გაშენებული,
წინ უძევს ველი,
დასათესელი
და ვენახებით დამშენებული.
ანკარა წყალი,
ჩქარ მორბენალი,
ვენახებთ შორის მიმოჩქრიალებს;
ცქვიტი მერცხალი,
ფრენაში მალი,
მის ტალღებს ფრთას სცემს და დასტრიალებს.
მტრედთა ლულუნი,
გვრიტთა კრუტუნი,
ისმის მალალის ხეებიდამა;
მწყრისა ძახილი,
გულ-ამოსკვნილი,
მოდის აქა-იქ ყანებიდამა.
ვიშ მალალური!
დაუგდეთ ყური,
დაბურულს ტყეში როგორა გალობს,
და ჯაფარაცა,
ქურდი-ბაცაცა,
ხან კატებრ კნავის და ხან კრიალობს.
ამ სოფელშია,
მკათათვეშია,

მოხდა ამბავი დიდ სამწუხარო,
და ეს ამბავი,
გულ-მოსაკლავი,
მინდა გიაგზო შვილო თამარო.*

II

სოფლის ბოლოზედ,
ტრიალს მინდორზედ,
შრომისა შვილნი მკიდნენ ყანასა,
გულით ხარობდენ,
არ მოსწრობოდენ,
კვლავ მოსავალსა ამისთანასა.
ჰოპმის გრიალი,
ნამგლის ტრიალი,
ყანას არხევდა, აშრიალებდა,
მშიშარა მწყერსა,
პურისა მტერსა,
გულს უხეთქავდა, აწიოკებდა.
მაგრამ ტოროლა,
მუშტისა ტოლა,
მომკლებს თავზედა დასტრიალებდა,
ხან მთა და ბარში,
ხან მალლა ცაში,
შტვენდა, გალობდა, დაცქრიალებდა...
მკიან და მკიან,
წინ-წინ გარბიან,
მეძნეული ძნის შეკვრას ვერ ასწრობს.
ყანის პატრონი,
სოფლის ბატონი,
თავს ადგას მუშებს, ღვინოს სთავაზობს.

* თამარი—იოსებ ბაქრაძის უფროსი ქალი იყო. ის 9 წლის გარდაეცვალა დედ-მამას. მისმა სიკვდილმა ძალიან დაამწუხარა მამა, ისე რომ ნათესავები მას ერთხანს ფეხდაფეხ დასდევდნენ, რომ თავი არ მოეკლა.

სვე გაიტანეს
და დაისვენეს,
მომკალთ ნამგლები დაატრიალეს;
მუხის ძირშია,
იმის ჩრდილშია,
ტკბილად სიმღერა ჩააკრიალეს:

1

„გავლესოთ ძმებო ნამგალი“,
დღეს ვნახავთ, ვინც მამაცია;
ხედავთ უხვი მოსავალი
ჩვენთვის ღმერთსა მოუცია.
თანა ვმკოთ და თან ვიმღეროთ,
ქვეყნის ბურჯად ჩვენა გვთვლიან;
წიელს რომ ხალხი შევიჯეროთ
მადლობას შემოგვითვლიან.

2

დღე და ღამე ოფლში ვცურავთ,
საქმეს ვსჩადით ღვთის საამოს;
სჩანს ბედმა წილად გვარგუნა
ჩვენ ვიშრომით და სხვამ სკამოს...
აბა, ძმანო, ერთიც დავკრათ,
მეძნეულო მოგვეც მხარი;
გავათავოთ და შეუკრათ
ბატონს კარგი პურის ჯვარი.

III

დიდ მუხის ძირში,
მდგარს ყანის პირში,
ამ სოფლის ბავშვნიც მოგროვილიყვნენ,
ხანა მღერობდენ,
ხან თამაშობდენ,
ხან ჩიტებს სდევდნენ, ბუდეს უშლიდნენ.

მერე მღერითა,
 გზა-გზა შტვენითა,
 საბანაოთა გაიქცნენ წყალზედ;
 არ წაიყვანეს,
 მარტო დასტოვეს,
 პატარა გიგა ტრიალს მინდორზედ.
 დიდ ხანს ტიროდა,
 ტოლთ მიჰყვიროდა,
 მაგრამ მის ხვეწნა არეინ ისმინა.
 რა დარჩა მარტო,
 მოსტეხა ხის რტო,
 ჩიტს გამოუდგა და მოილხინა.
 მას დიდ ხანს სდია,
 ვერ მოეწია,
 დაიღალა და ჩაჯდა ყანაში,
 იქილამ სქვრეტდა,
 როგორცა ჰფრენდა,
 ცქვიტი მერცხალი ლაქვარდსა ცაში.
 მის ცქერაშია
 და ალერსშია
 ყანაში ტკბილად მას ჩაეძინა;
 ყანამ შრიალით,
 ჩიტმა ცქრიალით,
 ჩვენს მონადირეს უთხრეს „ნანინა“.

IV

მზემ გაღიწვერა,
 სიომ დაჰბერა,
 დაბინდდა, მისწყდა „ჰოპმის“ გრიალი;
 მინდვრის ჩიტებმა,
 დაღალულებმა,
 შესწყვიტეს ფრენა, შტვენა, ცქრიალი.
 მიწყნარდა არე,
 იქმნა მღუმარე,

მთა და ბარშია არეინ ხმაურობს,
 მხოლოდა ყანა,
 ნიავისგანა,
 ზღვის ტალღებივით ლელავს, შრიალობს.
 ამ დროსა ბავშვსა,
 ბედითა შავსა,
 გამოელვიდა ღრმა ძილისაგან,
 იწყო ტირილი,
 გულ-ამოსკენილი,
 შეშინებულმა სიბნელისაგან.
 თან დადიოდა
 და თან ჰყვიროდა:
 „მიშველე, ვკვდები, ვამე დედაო!
 არ წამიყვანეს,
 მარტო დამაგდეს,
 ამხანაგებმა მინდორზედაო...“
 იმედ მიხდილი,
 მუხლ მოკვეთილი,
 დაეცა,—ყანა ზედ გადეფინა;
 ტირილით დაღლილს,
 ძალა გამოცლილს,
 პატარა გიგას მსწრაფლ ჩაეძინა.

V

მთვარე დიაღი,
 ვითა ხმიაღი,
 მთების იქილამ ამოეყუდა;
 იწყო კაშკაში,
 მთასა და ბარში,
 განათდა ველი და ლადა-ლუდა,
 გიგოს კი სძინავს,
 მძიმედა ფშვინავს,
 ბაღრი მთვარე მას არ ახარებდა,

ხანდისხან მწვავედ,
 გულ-მოსაკლავად,
 „ვამე დედაო!“ დაიკვნესებდა.
 სულ დათვი, გგელი,
 მშხამელი გველი,
 მას სიზმარშია ელანდებოდა,
 და მათის შიშით,
 ტირილით, ვიშით,
 საწყალი გიგა ძილში ხტებოდა.
 მაგრამ მშველელი,
 ნუგუმ-მცემელი,
 არაფინ იყო ეხლა ბავშვისა,
 და მხოლოდ მთვარე
 სხივ-მომფინარე,
 იყო მოწამე იმის ტანჯვისა.
 ყანაც აყრილი,
 თავ-თავ დახრილი,
 მძინარე გიგას გადაჰფენოდა;
 გეგონებოდა
 ეცოდებოდა,
 რომ იმას ღამე არ შესცივნოდა.

VI

მთვარე კაშკაშებს,
 წყალი ლაპლაპებს,
 ღუმილი სუფევს მთლად მინდორზედა;
 მხოლოდ ისმოდა,
 ვითა ტიროდა,
 საწყალი გიგას ბედ-კრული დედა.
 დედა საწყალი,
 დედა გამშრალი,
 თან შვილს ეძებდა და თან ტიროდა.
 ასე მოსთქვამდა,
 მსმენელს გულს სწვავედა,

იმის ცოდვითა ქვაც კი იწოდა:
„ვაიმე შვილო,
პაწიავე, ტკბილო,
ვაი შენს დედას! შენს დამკარგავსა!
ვინ იცის გცივა,
კრემლები გცივია,
ვინ შეგიბრალებს ბედ-კრულს, ბედ-შავსა!...“
მამაც ამ დროსა,
სოფლის ბოლოსა,
გიგას ეძებდა ქუდ-მოგლეჯილი;
მოვლო ყანები,
ტყე და ქალები,
მაგრამ მაინც ვერ იპოვნა შვილი.
ძებნით დაღლილი,
იმედ-მიხდილი,
საწყალი მამა დაბრუნდა შინა;
ამის მნახავმა,
დედამ ბედ-შავმა
ორივე ხელი თავს წაიშინა...

VII

გათენდა დილა,
კვალად იხილა
თვალმა ბუნება გაღვიძებული;
მიმქრალდა მთვარე,
წყნარად მოარე,
დილის სინათლით შეშინებული.
ნაცვლად ცისკარმა,
პირ მოცინარმა,
აღმოსავლეთით იწყო ღაეღაევი;
ნეტა ვის გულსა,
სევდით მოცულსა,
არა გაჰკურნავს ეს გარიჟრაჟი!
შეხეთ ბუჩქზედა,

დანამულზედა,
რა ტკბილის ხმითა გალობს ბულბული;
იმის მღერასა,
გულის ძგერასა,
ყურს უგდებს მწყვესი სულ-განაბული.
აგერ სერზედა,
მწვანე ველზედა,
გამოიშალა ბლავილით ცხვარი;
მათ ფეხის ხმაზედ,
ფოთლით შრიალზედ,
დაფთხა კურდღელი გულ-მოშიშარი!..
ამ დროს ყანაში,
ხან ტყე-ქალაში,
გიგოს დედ-მამა მიმოვიდოდენ,
შვილს დაეძებდენ,
ვერ პოულობდენ
და ამით ჯაერით იხოცებოდენ...

VIII

დღესა მნათობმა,
ქვეყნისა მთბობმა,
დაპფერა ოქროს ფერად ყანები;
იმის სხივებზედ,
ვით ნამი ველზედ,
დალაპლაპობდენ ბასრი ნამგლები.
მუშაკთ სიმღერა,
ნამგლების ჟღერა,
კვალად გაისმა მთასა და ველში;
მეურმეს ძნითა,
ტკბილ სიმღერითა,
მიაქვს ურემი თავის სოფელში...
მუშებმა მკის დროს,
ზედ შუა-დღის დროს,
იპოვეს ბავშვი ზიცვალებული.

- ეს იყო გიგა,
 ვაი რა რიგა
- ჰქონდა მას სახე დასივებული!
 თვითონ გლეხებმა,
 მის მეზობლებმა,
 საწყალი გიგა ძლივსალა იცნეს.
 ბავშვი მამკვდარი,
 უდროდ დამკენარი,
 სოფელში იმავ წამს წაასვენეს,
 დედ-მამის გვემა,
 თავ-პირში ცემა,
 არ ინახოდა,—იყო საზარო;
 მათი წუხილი,
 გულის დუღილი,
 არც ენით ითქმის შვილო თამარო!...
 გიგა დამარხეს,
 ზედ ქვა დაადეს,
 და იმ ქვაზედა ასე სწერია:
 „განშორდა მშობლებს,
 აწ აქ მღებარებს
 გველისგან მკვდარი გიგოს მტვერია.“

თაკბანები

სიმღერა პეკანგზე

ცომას ვუდისა

(ვეძღვნი ეკ. დიმ. ღვინიაშვილისას)

ძველ ტანსაცმელით, მუშაობით დასუსტებული
და უძილობით სრულად თვალებ დაწითლებული,
მკერალი ქალი ზის და ჰკერავს, თანაც ლილინებს,
და ამ ლილინში სრულებით სთქვამს თვის გულის დარდებს.
მღერის და ჰკერავს საცოდავი, მღერის და ჰკერავს,
მღერის და ჰკერავს იგი, წელში არა იშლება:
სიცივისაგან ნევსი ხელში ძლივას უჭირავს,
მაგრამ საქმესა მაინც კიდევ არა ეშვება.
ტალახიანსა და ტენიანს სახლის კუთხეში
მღერის და ჰკერავს იგი და არ იშლება წელში.
იჯექ და ჰკერე დღე და ღამე განუწყვეტელად,
სინამ მამალმა შორსა სადმე არ დაიხივლოს,
იჯექ და ჰკერე დღე და ღამე განუწყვეტელად,
სინამ მრავალმა¹ ბანიდამა არ ჩამოგანდოს.
ოხ! მირჩევიან, რომ მე მონად ვიყო თათრებში.
და დღე და ღამე მძივე შრომით სულსა მართმევდნენ,
რომა იმათსა უსჯულოსა ცუდ ქვეყანაში,
თავეთ სულზედა წარმართები არას თქრობენ!
იჯექ და ჰკერე დღე და ღამე განუწყვეტელად,
სინამ სნეული ტვინი თავში არ გაგიწყალდეს;
იჯექ და ჰკერე დღე და ღამე განუწყვეტელად
სინამდისინა თვალთ სრულიად არ დაგიბნელდეს.
გაუარევი სპეკრავსა გვირისტავები,
ქობა დაუდღე და დაასხი მაგრად ლილები...

¹ ვარსკვლავთ კრება, რომელიც განთიადისას ჩნდება.

დავილაღევი, კერვისაგან თვალით მებლიტება,
 მაგრამ ძილშიაც საკერავი სულ მელანდება,
 „ოხ თქვენ, რომელნიც სიცოცხლითა ხართ დამტკპარები
 და გლახაკური ცხოვრება არ გაქვსთ ნაგებები,—
 თქვენ ტანთ-საცმელით კი არა ხართ შემოსილები,
 არა, საწყლისა სიცოცხლითა ხართ მორთულები!
 ცივს და ბნელს სახლში სინათლეს და ხალხს მოკლებული-
 იჯექ და ჰკერე, საცოდავო, თავ ჩალუნული.
 ერთხელ როდისმე, როგორათაც ამა პერანგსა,
 შენსა თავსაცა შეუკერავ შავ სუდარასა...
 მაგრამ სიკვდილი მე ამჟამად რად მომაგონდა?
 ნუთუ ან იგი შეაშინებს ჩემს გონებასა?
 მეც ხომა თვითონ, დამერწმუნეთ, ბევრითა ვგვეარ
 საშინელსა და დამუნჯებულს მოჩვენებასა...
 დიახ, მეც თვითონ ამ სიკვდილსა ბევრითა ვგვეარ,
 მუდამ სიმშლით დატანჯული ძლივსა ვცოცხალვარ...
 ოხ, ღმერთო! ღმერთო! პური ასე ძვირად რად არი
 და ხალხის სისხლი კი სუყველგან იაფი არი?
 იმუშავევი განუწყვეტილვ დაუღლეღათა,
 შენთან არს მყოდამ შენი შრომა განუყრელათა!
 ჯილდოთ შრომისა ქვეშაგები გაქვს შენ ჩალისა,
 ძველი საცმელი და გამხმარი ლუკმა პურისა,
 პური სახლისა დამპალი და დაძველებული,
 და ნესტისაგან წამხდარი,—ხავს მოკიდებელი,
 კედლებიც ძველი, ხანდისხან მე მეგონება...
 რომ მუნით ჩემი აჩრდილიც კი ჩამოვარდება.
 იჯექ და ჰკერე საცოდავათ წელში მოხრილი,
 შენსა შრომაზედ თვალი გქონდეს მიჩერებული...
 იჯექ და ჰკერე, ჰოი ბედკრულო! წელში მოხრილი-
 ვით წელსა იხრის დამნაშავე გამომწყვდეული.
 შეჰკერე... შრომა აღვილი კი ნუ გეგონება.
 იმუშავე დღე, იმუშავე—ლამე დადგება
 სინამდინ ტვინი არ გახდეს მთლად უგრძობელი,
 როგორათაც ესე ჩემი დაღლილი ხელი.

იმუშავევი ზამთარშიაც მზეს მოკლებული,
 ნემსს ნუ დააგდებ მაშინაც, როცა დადგეს ზაფხული,
 როცა მთა-ველი ყვავილებით შეიმოსება
 და მათის ქვერეთით ყველა ხარობს და ყველა სტკებება.
 იჯექ და ჰკერე საცოდავად თავ-ჩალუნული
 როცა მერცხალი გაზაფხულით გახარებული,
 შენს ფანჯრის ზემოდ ბარტყებისთვის ბუდეს აშენებს
 და გაღებულის კარებიდამ შემოგჭიკიკიკებს.
 ოხ, რომ შემეძლოს, იქა ჩემის თავის ზევითა,
 ვიხილო ზეცა მოქედილი ვარსკვლავებითა;
 ვიხილო მდელი ათასფერათ აჰყვავებული,
 რომ მეც დავიტკბო მცირე ხნობით ტანჯული გული!
 მაშინ ამ ერთს წამს, სინამ პირში სული მედგმება,
 არ დავივიწყებ, საფლავშიაც კი თან ჩამყვება;
 მაშინ ვიგრძნობდი—თუ რა ძნელი არს ტანჯვა. ვაება
 და ქანც-გამწყვეტი უღვთო შრომით ქვეყნად ცხოვრება!
 ერთის წამისა ტკობისათვის ტურფა ბუნებით
 დაივიწყებდი ნაგემებსა ტანჯულს ცხოვრებას;—
 დატანჯულ, შეწუხებული ციებ-ცხელებით
 ვერა-რას ვიგრძნობ, თუ არ მარტო დიდ მწუხარებას.
 ამბობენ, ვითომ ცრემლების ღვრით გულს ეფონება,
 მაგრამ იყავით, ჰოი თვალნო! მუდამ მშრალები!
 ნუ დაღვრით ცრემლებს, ცრემლებისა მე მერცხვინება,
 დალაქავდება მათით სუფთა საკერავეები...
 ძველი ტანთსაცმელით, მუშაობით დასუსტებული
 და უძილობით სრულად თვალე დაწითლებული.
 მკერალი ქალი ზის და ჰკერავს, თანაც ლილინებს,
 და ამ ლილინში სრულებით სთქვამს თვის გულის დარდებს.
 მღერის და ჰკერავს, საცოდავი, მღერის და ჰკერავს,
 მღერის და ჰკერავს იგი, წელში არა იშლება:
 სიცივისაგან ნემსი ხელში ძლივას უჭირავს,
 მაგრამ საქმესა მაინც კიდევ არა ეშვება.
 ტალახიანსა და ტენიანს სახლის კუთხეში
 მღერის და ჰკერავს იგი და არ იშლება წელში.

ბ ა ი რ ო ნ ი ლ ა ნ

ოჰ თუ კი მართლა საიქიოსა
სულს სიყვარული თანა წაჰყვება,
თუ კაცი თავის გულის სატრფოსა
სიკვდილის შემდეგ კვალად შეხვდება—
მაშინ რა რიგად იგი სოფელი
იზიდავს ჩემსა გულს და გონებას.
მსურს აქ დავტოვო ტანჯვა ყოველი
და მივაშურო მუნ ნეტარებას.
ჩვენ ჩვენი თავი არ გვენანება,
როცა სიკვდილი გვიახლოვდება;
გულსა მხოლოდა ის ეწუხება
რომ თვისი სატრფო ქვეყნადა რჩება.
ოხ! რანაირად გულსა დამიტკობს
ის საუკუნო ტკბილი ცხოვრება,
რაც უკვდავებას შუა გამიყოფს
სხვა გულის სწორი ტურფა ქმნილება!...

1878 წ.

* *

(იტალიურიდან)

ოხ იტალიავ, იტალიავ, გული ტყვევდება
შენის გრძნეულის სიტურფითა აღტაცებული,
მაგრამ ვაი! ეგ სიტურფე და მშვენიერება
შენს დასალუბად გაქვს ღვთისაგან მონიჭებული.

შენ რომ არ იყო აგრე ტურფა და მშვენიერი,
ან იყო შენსა მჩაგვრელს მტერზედ უფრო ძლიერი,
მაშინ შენ იგი გულში ასე არ ჩაგიკრავდა
და შენთა შვილთა, ბედით შავთა, არ დასტანჯავდა.

ასე აძაყად იგი აღარ ინაეარდებდა
შენის კვნესითა და ვაებით გახარებული,
შენსა ბედსა და უბედობას ვერ განაგებდა,
არ გექნებოდა განათლების კარი დახშული.

ოხ იტალიავ! სხვის ბრძანებით შენი შვილები
მაშინ თავიანთ მტრების მტრებსა აღარ ებრძოდენ,
არ იქნებოდენ საუკუნოდ მტრისა მონები;—
არა, სიცოცხლეს შენ, მხოლოდ შენ, შემოგწირავდენ.

1880 წ.

ბ რ ძ ო ლ ა

(სერბიელი პოეტის დრალწვევიჩისა)

ბრძოლა, ძმანო, ბრძოლა მამა-პაპური,
თორემ მტრისგან ილუპება მამული;
ბრძოლა, ბრძოლა! ნუ დაგვიგდია ყური!
ჩვენდა წყლულად მიგვაჩნდეს ერის წყლული.

ბრძოლა, სერბნო, ბრძოლა მტერთან მედგარი,
სისხლით მოერწყოთ სამშობლოს მთა და ბარი!

ოხ, ნეტავი მოვესწრობი იმ დროსა,
რომ სერბიას კვალად გაღვიძებოდეს;
აღემართოს თავისუფლების დროშა
და თავის მტერს მამაცურად ებრძოდეს?

აღესდგეთ და მსწრაფლ დაიმხოზა მონება!
გვეყო, გვეყო, ამდენი მოთმინება.

ბრძოლა, ძმანო, მონებაში ცხოვრებას
სჯობს შევესწიროთ თავი თავისუფლებას.
ბრძოლა! ბრძოლა! დაე დარწმუნდეს მტერი,
რის მქნელია გაღვიძებული ერი!...

ბრძოლა, სერბნო, ბრძოლა მამა-პაპური,
ნალარის ხმა ისმის, დაუგდეთ ყური!...

1881 წ.

მ უ რ ი ღ ე ნ

როს შენ სტირი, იტანჯები
და გულს გიხოკს კაეშანი,
გულის სწორო, მეც ვწუხდები,
მიმრავლდება ვაებანი.

მაგრამ როცა ეშხით სტირი.
ნეტარების ცრემლი გცვივა,
შენ 'ეს ტურფავ მეტად გშეენს
და მეც გული აღარ მტკივა.

1882 წ.

ჰ ა ნ ნ ე რ ე ნ

ტურთავ, ტურთავ! რას უყურებ,
მოაცურე ჩემსკენ ნავი,
ერთად დავსხდეთ და ვუყუროთ
როგორ არხეეს წყალს ნიაფი.

ნურას თიქრობ ჩემზედ ავსა,
გულს მხურვალედ ჩამეკარი;
თუ რომ შენს თავს ანდობ ზღვასა—
მე რით-ლა ვარ უნდობარი.

მაგრამ გულიც ხომ ზღვა არის,
ხან ღელავს და ხან მშვიდდება
და ძვირფასი მარგალიტი
იმაშიაც იმალება.

1882 წ.

პ ა ნ ე ლ ა ნ

ძილში ვტიროდი, მე დამესიზმრა:
ვითომ შენ საფლავს იყავ მდებარე.
გამომეღვიძა და თვალებიდამ
ჩამომდიოდა ცრემლი მღუღარე.

ძილში ვტიროდი, მე დამესიზმრა:
რომ ჩემზედ გული გაგცივებოდა.
გამომეღვიძა და თვალებიდამ
დიდხანს მღუღარე ცრემლი მდიოდა.

ძილში ვტიროდი, მე დამესიზმრა:
რომ კვლავ ერთად ვართ ბედით დამტკბარი
გამომეღვიძა... მაინც ჩემს თვალებს
ვერა შევსწყვიტე ცრემლი მღუღარო.

პაღვარ-საოწირან

საც ტირიფს თხილთან ტოტნი გადუბავს
იქ ჩრდილ ქვეშ ია ჰყვავის, ბიბინებს,
და თვის სიტურფით ფერსა უკარგავს
წალკოტების და მინდვრის ყვავილებს.

ვიშ რა ბრწყინავენ და ლაღანებენ
ნამისაგანა ეს ყვავილები;
მაგრამ მინახავს უფრო ბრწყინვალე
თვალნი ცრემლითა დანამულები.

როგორც ქვეყანას მზე მოჰფენია,
მსწრაფლ შემრობია ნაში ფოთოლს, ველს:
ამაზედ დიდხანს არ უბრწყენია
ჩემს სატრფოს თვალში განშორების ცრემლს.

ძილ-გამკრთალთ მზევ

(ბაირონისა)

ძილ-გამკრთალთ მზევ, სევდიანო ვარსკვლავო,
შორით ღრუბლით მარად კმუნვით მბეჭტავო!
თანამგზავრად და გუშავად სდევ ლამეს,
ახ, ვით ჰგეგხარ განვლილ დღეთა სიამეს!
ესრედ ჩვენცა წარსული დრო გვინათებს,
მაგრამ სითბო აღარა აქვსთ მის სხივებს.
წარსულისა ვარსკვლავსა ვკვრეტ ხშირადა,
ვკვრეტ, მაგრამ შორს... ბრწყინავს... მაგრამ ცივადა.

მ ე რ ც ხ ა ლ ი¹

(გ. დოდოხიანისა)

მერცხალო, მერცხალო,
გაზაფხულის ფრინველო,
მითხარ, საით მიფრინავ
ეგრე გაჩქარებული

ახ, გაფრინდი, მერცხალო,
იქ, სადაც დავიბადე,
ნახე ჩემი სამშობლო
და გააკეთე ბუდე.

იქ მყავს მამა მოხუცი,
მწარეთ მალ-მალ ლონდება,
და თვის ერთ შვილის ნახვას
ღლე-ღლეზედ ელოდება.

როს ნახო, იგი, უთხარ
ჩემი გულის ტკივილი,
უთხარ: დაჯდეს, იტიროს
თვისი ბედკრული შვილი...

უამბე, როგორც აქა
უპატრონოთ რო ვგდივარ
მუდამ გლოვა, ტირილით,
მკვდარს დაემსგავსებივარ.

¹ პირველად დაიბეჭდა „ჩანჭში“ შემდეგი სათაურით: „სიმ-
ღერა გარდახვეწილისა (იმღერება „წიწერნაკის“ ხმაზედ),

ჩემთვის მზე არ ანათებს,
წყვილიად მეჩვენება;
ტირილით დაღლილს თვალებს
აღარ აქვთ მოსვენება.

უთხარ, რომ გულს მიწყალებს
სამშობლოს მოშორება,
და სიყმაწვილე ჩემი
ვარდისავითა კვნება.

ეჰ, გაფრინდი მერცხალო,
გასწი, მარდად, მალიად,
ნახე ჩემი სამშობლო,
სად რბოდნენ ღღენი ტკბილად!

მ ნ ყ ე მ ს ო

(ჰაინესი)

მეფე ხარ, მწყემსო ლამაზო!
ტახტად გიდგია მთა-ბარი,
და მზე ბრწყინვალე შენს თავზე
ოქროს გვირგვინი არ არი?

წითელ ნაკრით დართულები
ცხვრები მეფის წინა წვანან;
კარისკაცებად ხბორები
მედიდურად თან ახლანან.

თეატრის დასად თხები ჰყავს,
ვიშ! ყველა აქტიორია;
ხბოთ ზართ წკარუნი, ჩიტთ სტვენა
მესაკრავეთა სწორია.

მღერიან და თამაშობენ,
არე-მარემ მოილხინა;
მთა და ველი ბანსა აძლეეს
და მეფესაც ჩაეძინა.

ამ დროს სამეფო საქმეებს
ერთგული ძალღი განაგებს:
ამ ვეზირსა ყველა იცნობს,
მალლა ჰყეტს და ალღოს იღებს.

მეფე კი ძილში ლულულუღებს:
ძნელი ყოფილა მეტობა!
შინ დედოფალთან ყოფნა სჯობს,
მასთან ალერსი და ტრფობა.

ჩემს დიდებულს მეფურს თავსა
დავაყრდნობდი მკერდზედ სატრფოს;
ხომ იმის ტურფა თვალები
შეადგენენ მთლად სამეფოს?

ქ ა ი ნ ე რ ა ნ

აბ! ისევ ის თვალებია,
ნაზად რომ მილიმდებოდნენ,
და ისევ ის ტუჩებია,
ალტაცებით რომ მკოცნიდნენ!

ეს ხმაც ისევ ნარნარია,
გულწარმტაცი, მომხიბლავი;
მხოლოდ მარტო მე შევცვლილვარ:
ის აღარ ვარ, რაც ვიყავი.

ესლაც კვალად მეხვევიან
მის მკლავები მადლიანი,
მე კი მის მკერდს დაეყრდნობივარ
უგრძნობი და სევდიანი.

წყარო და ზვიკთი

(ლონგფელოდან)

მშობლიურს კლდიდგან ანკარა წყარო
გამოდის, წყნარად გამოჩუხჩუხებს,
ვერცხლის ფრად ოქროს ფერსა ქვიშაზედ
მიდის საამოდ და მიწანწყარებს.

შორს მაზედ ზვირთი ოკეანეში
დიდსა სივრცეზედ დაექანება,
ხან მშფოთარ ზღვასთან ერთადა ჰღელავს,
ხან მწუხარებით ზედ ენართხება.

მიდიოდა რა ასე წინ-წინა,
ანკარა წყარო ზვირთს შეეყარა
და მისი გული აღშფოთებული
თვისის ცივის წყლით მან დააწყნარა!

ქ ა ი ნ ე ლ ე ნ

ახ! ყვავილები რომ მიხვდებოდნენ
ჩემსა ტანჯვასა, ვაებას, სახმილს,
ჩემთან ერთადა ქვითინს მორთავდნენ,
დამიყუჩებდნენ გულისა ტკივილს.

ბულბულებიცა რომ გაიგებდნენ
ასე უწყალოდ რაც ჰქეჯნის ჩემს სულს,
მსწრაფლ საუცხოვოდ იგალობებდნენ,
ნუგეშსა მცემდნენ სნეულს, დატანჯულს.

ვარსკვლავებმაცა აბა გაიგონ
ის სევდა, რამაც გული დაღარა,
თუ ჩემთან სწრაფად არ ჩამოვიდნენ
და არ დასტოვონ ცისა კამარა.

ვაჰმე! იგინი ვერ მიხვდებიან,—
მან იცის მხოლოდ ჩემი ნალველი,
ვინც თითონ ჩემს გულს ასე უღმობლად
დაასვა დაღი უკურნებელი.

ქ ა ი ნ ე რ ე ნ

ყვავილთ თავი დაუხრიათ...
გაზაფხული აღარ მალხენს,
ბულბულიცა დამკენარს ვარდზედ
მოწყენითა გალობს და სტვენს.

მაშ შენც ნულარ მილიმდები,
სჯობს იტირო სატრფიალო,
რომ შენს ლაწვზედ ის ცრემლები
ერთის კოცნით მოვამშრალო,

დემონსტრირება

წმინდა საკანის კარების გვერდით
იდგა წყალობის შემათხოვარი,
შიმშილ-წყურვილი, ტანჯვა-ვაებით
უღონო, სუსტი და ჩამომხმარი.

იგი ითხოვდა მხოლოდ ლუკმა პურს,
იცქირებოდა გულ-საწუხარად;
მაგრამ ვიღამაც იმა უბედურს
ქვა მისცა ხელში პურის მაგივრად.

ესრედ მეც შენა გთხოვდი სიყვარულს
გულით მწუხარე, თვალ-ცრემლიანი;
ესრედ სამუდმოდ შენც გააცრუე
საუკეთესო ჩემი გრძნობანი. ~

პ ა ი ნ ე რ ა ნ

შენ მთლად ბრწყინავ აღმას-მარგალიტებით,
სიტურთე გაქვს სიმდიდრით შემკობილი,
მასთანა გაქვს საოცარი თვალები...
ნუ თუ მაინც არა ხარ კმაყოფილი?

არა ერთხელ მაგ საოცარს თვალებზედ,
რითმთა კონა შემიკრავს ვით ყვავილი,
და შეიქმნა იგი უკვდავ სიმღერად...
ნუ თუ მაინც არა ხარ კმაყოფილი?

ვაჰჰე! ეგე საოცარი თვალები
არიან შავ-ბედის ცეცხლით აღესილი...
მე იმათგან სრულიად ვილუპები...
ნუ თუ მაინც არა ხარ კმაყოფილი?

გაზაფხულის მოლოდინი

(მინაევისა)

ტურფა ქალი ზამთრის დღესა
შინ იჯდა თავჩალუნული
და ფიქრობდა: „ღმერთო ჩემო!
როდის მოვა გაზაფხული!“

სანთელივითა დნებოდა
ლოგინზედ მწოლი სნეული,
მაგრამ ისიც იძახოდა:
„როდის მოვა გაზაფხული!“

ჰა მოვიდა გაზაფხული —
და უძღვნა მათ საჩუქარი:
ქალს—ვარდი და სიყვარული,
სნეულს—ვარდი და სამარი.

ს უ რ ვ ი ლ ი

(ნემიროვიჩ-დანიენკოსი)

ოხ, თუ სიცოცხლე, კვლავ სიცოცხლედ ღირს,
დაეხსენ სისხლმა დამიწყოს ჩქროლა,
და სიყვარულმა, ვნებამ და ტანჯვამ
ჩემს გულში მედგრად ასტეხონ ბრძოლა...

დაე დაჰბეროს კვლავ ქარიშხალმა, -
ხალხს გააღვიძებს, და მაშვერალთ ძილით...
თვით გაზაფხულიც, ეს ნეტარი დრო,
მარად იწყობა ჭეჭა-ჭუხილით...

და თუ დანთქმასა ჩვენ ვერ ავცდებით,
სჯობს გაჰქრეს ჩვენი აწ ნატამალი,
მღელვარე ზღვაში სიკვდილი გვიჯობს
ვიდრე ქაობში ვიყოფ ცოცხალი.

* *

(სონეზურიდან)

ჰოი სამშობლოვ, ტანჯვისათვის განაწირულო!
მომავალშია რას გიმზადებს შენ შენი ბედი?..
სად მიისწრაფი? რა გაქვს საგნად, უღვთოდ დევნილო,
ცხოვრების გზაზედ რა გამხნეებს, რის გაქვს იმედი?

იქნება დროთა ბრუნვისაგან გათახსირებულს
დაგვიწყებია შენს ბრწყინვალე ბედზედ ოცნება?
და რა ხედავ შენს ბედის ვარსკვლავს აწ მიმქრალეებულს,
გულდამშვიდებით სიკვდილს ელი და გენატრება?

ოხ, არა, არა! ბედი შენი კვლავ გაგიღიმებს,
განთიადს შესტრფი და მზადა ხარ საბრძოლველად...
შენი შვილი კი შენსა ტანჯვას ყურს აღარ უგდებს,
და აღარ მოდის შენს საშველად, დასახსნელად!..

შუჩის ძიება მგოსნისა

(ოჰანეს თუმანიანისა)

ოხ, თქვენ, დევნის და ტანჯვის ღრით შვილნო!
ყოველი გრძნობა გაქეთ დაკარგული;
მსურს შეგიყვაროთ ბედშეე ბედკრულნო,
მაგრამ გული მაქვს თქვენგან მოკლული.

ამისთვის მე აწ ისე ვიმღერებ,
რომ ამ სიმღერით გული დაგწყვიტოთ,
ოხვრა-ვაებას კვლავ მოვახმარებ
და მოსვენებას სრულად დაგიფრთხობთ.

განწირულების ნაღვლიან მღერით
მოეშხამ-მოეწამლაე თქვენსა ცხოვრებას,
თვით მეჯლისშიაც ცრემლებსა მოგგვრით,
არ მოგცემთ ლხენას და ამოვნებას.

შურისძიება მწყრალის მგოსნისა
არ მოგასვენებთ თქვენ საფლავამდე,
გულს დაგიკოდაეთ, სულს აღგიშფოთებთ
და ესრეთ გტანჯავთ უკუნისამდე.

* *-სას

(ოქანეს თუმანიანისა)

ნულარ ეძებ... მას შენ ამა გულში,
რაც იყო შენგან ერთ დროს გმობილი,
იგი ოხვრას თან ამოვატანე,
ცარიელია აწ მის ადგილი.

ნუ იცრემლები... გა, გამეცალე,
რაღაა შენი ცრემლი მდულარი?
იგი მე მხოლოდ ძველს დარდს მიახლებს
და რაღა, რისთვის; გვიანლა არი...

პაღაუჩიან

მოწყენით ორი დამკნარი ვარდი
სძევს ქვიშაზედა მთლად ფერ მიხდილი,
გამოსალმების სხივებსა ესერის
მათს დამკნარს ფურცლებს მზე გადახრილი.

— მე ახალგაზრდა საპატარძლოსა
გულშია ვქონდი გაკეთებული,
როს განუსაზღვრელ ნეტარებითა
და სიყვარულით უცემდა გული.

— მე მან მომწყვიტა ქალის გჟლიდგან,
როს იგი იღო კუბოში მკვდარი,
სანთლების შუქით გაბრწყინებული,
ვით ქანდაკება ცივ-უგრძნობარი.

მოწყენით ორი დამკნარი ვარდი
სძევს ქვიშაზედა მთლად ფერმიხდილი...
თვისსა სხივებსა ნელ-ნელა სწურავს
მათს მკნარს ფურცლებზედ მზე გადახრილი.

ს ა რ ჩ ე ბ ი

იოსებ ბაქრაძე .

5

ლ ე ქ ს ე ბ ი

მე ქართველი ვარ!.. .	15
მუშის სიმღერა .	16
გლეხების სიმღერა	17
ჩვენებური ექიმი	22
დარდი	24
სიმღერა . .	28
სალამოს სურათი	29
უნგარო სიყვარული	30
* * (როდესაც გული კენესას დამაწყვებს)	31
გამოხმობა .	32
გლეხის სალამო .	33
ჩემი სამშობლო .	37
* * (შენ სტირი და ლაწვეებზედა) .	38
* * (თუ გინდ ასტყდეს ჭარიშხალი) .	39
ჩემს მეგობარს	40
* * (გულდაწყვეტით ცაზედ ვეძებ) .	41
* * (ტუოჟა ვარდად) .	42
ნუ ჰვარვავ იმედს!	43
ს.ტროფოსადმი	44
„შომილოცნია ახალი წელი“	45
* * (წალმა-უკულმა აბრუნებს)	46
კმუნვა	47
სიმღერა მთესველისა	49
ამაო სურვილი	50
ს. მესხის გარდაცვალებაზედ	51
ბალში	52
* * (სინიღისი, სიმართლის ტაძარი)	53
* * (ღაჟეა. სატრფოვ მარტო ვარ) .	54
ალბომში	55
* * (ალარკ რწმენა და ალარკ სასოება)	56
გაზაფხული	57

* * (წარვლენ წელნი, და ს.მშობლრ მხარევ)	58
1685 წ. (მაგილოცავთ ახალს წელსა!) .	59
* * (საესე ჟაალით, გულის ტრჳიალით)	60
გლახის სიმეურა . . .	61
* * (კუდ-ქიციანა ჩეჩსა ცუვოს!)	63
* * (ერთ სალამოს, ჩემთვის მარად დილამან)	64
შენა სტიროდი	65
* * (ვალა ბრწყინვალე ნზისა ამოსვლით)	66
* * (რას გვარჯებს შენა იგავნი).	67

პ ო ე მ ა

საწყალი გიგა	71
--------------	----

თ ა რ ბ მ ა ნ ე ბ ი

სიმღერა პერანგზედ .	83
ბაირონიდან	86
* * (იტალიურიდან)	87
ბრძოლა .	88
მგურიდან .	89
ჭაინედან .	90
ჭაინე დან	91
ვალტერ-სკოტიდან	92
ძილ-გამკრთალთ მზევ	93
მერცხალი	94
მწყემსი	96
ჭაინედან	98
წყარო და ზვირთი	99
ჭაინედან	100
ჭაინედან	101
ლერმონტოვიდან	102
ჭაინედან	103
გახაფხულის მოლოდინი	104
სურვილი	105
* * (სომხურიდან) .	106
შურის ძიება მგოსნისა	107
**-სას	108
ვალდაურიდან	109